პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კ-ის და ცაკის ორგანო

№ 117 (5218) | სამშაბათი, 24 მაისი 1938 წ. | ფასი 10 კაპ.

დ ღ ე ს გ ა ზ ე თ შ ი:

ბოლშევიკურად მოვემსახუროთ საარჩევნო კამპანიას (მოწინავე)
დედაქალაქის სტალინის საარჩევნო ოლქში (1-ლი გვ.)
წალენჯიხის საბჭოთა მეურნეობამ ვადამდე შეასრულა ჩაის ფოთლის კრეფის მაისის გეგმა (1-ლი გვ.)
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატთა რეგისტრაციები (მე-2 გვ.)
შესამოწმებელი გამოცდები საშუალო სკოლაში („პრავდის“ მოწინავე, მე-2 გვ.)
რაიონული პარტიული კონფერენციები (მე-2 გვ.)
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატთა ბიოგრაფიები (მე-3 გვ.)
პროფ. ს. დანელია—„ამბავი იგორის ლაშქრობისა“ (მე-3 გვ.)
„ამბავი იგორის ლაშქრობისა“ (ლექსი).

უცხოეთში:

ფრანკოს არმიიდან გამოქცეულნი (1-ლი გვ.)
ესპანეთის ფრონტებზე (1-ლი გვ.)
ჩინელი პარტიზანების წარმატებითი მოქმედება (მე-4 გვ.)


ბოლშევიკურად ვემზადოთ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის!

ბოლშევიკურად მოვემსახუროთ საარჩევნო კამპანიას

შესანიშნავ დღეებს განიცდის ჩვენი ხალხი. რამდენადაც ახლოვდება საქართველოს სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების დღე — 12 ივნისი, იმდენად სულ მაღლა და მაღლა იწევს მშრომელთა პოლიტიკური და სამეურნეო აქტივობის, აღფრთოვანებისა და სიხარულის ტალღა, იმდენად უფრო და უფრო ცხადად მოსჩანს კომუნისტებისა და უპარტიოების ურყევი სტალინური ბლოკის უძლეველი ძალა, იმდენად მეტი და მეტი სიძლიერით ხდება ჩვენი ხალხის მორალური და პოლიტიკური ერთიანობის, ლენინ-სტალინის პარტიის გარშემო მისი შეკავშირების დემონსტრაცია.

საქართველოს ქალაქებსა და სოფლებს, ფაბრიკა-ქარხნებსა და კოლმეურნეობებს ელვის სისწრაფით მოედო სასიხარულო ცნობა, რომ დიდი სტალინი თანახმაა კენჭი იყაროს საქართველოს სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობაზე თბილისის ლენინის № 1 საარჩევნო ოლქში. ხალხი აღაფრთოვანა აგრეთვე დიდი სტალინის უახლოესი თანამებრძოლის, საბჭოთა მთავრობის მეთაურის, ამხანაგ ვ. მ. მოლოტოვის თანხმობამ კენჭი იყაროს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობაზე თბილისის სტალინის № 8 საარჩევნო ოლქში. ამ ცნობის გამო საგანგებოდ გამართულ მიტინგებსა, დემონსტრაციებსა და კრებებზე ჩვენმა ხალხმა ერთხელ კიდევ დაამტკიცა თავისი უსაზღვრო ერთგულება და სიყვარული ბოლშევიკების გმირული პარტიისადმი, სოციალიზმის ყველა გამარჯვებათა სულისჩამდგმელისა და ორგანიზატორის — გენიალური სტალინისადმი.

ჩვენი პრესა ვალდებულია ცოცხლად, მგზნებარედ, ბოლშევიკურად გააშუქოს ეს უდიდესი მოვლენები. პრესა ვალდებულია სათავეში ჩაუდგეს მასების ამ გაზრდილ აქტივობას და ენტუზიაზმს. პრესა ვალდებულია არა მარტო დროულად გამოხატოს ცხოვრების მოვლენები, არამედ აგრეთვე გარკვეულად დააყენოს ამოცანები, იყოს ამ ამოცანათა განხორციელებისათვის საუკეთესო აგიტატორი, პროპაგანდისტი და ორგანიზატორი.

ბევრი ჩვენი რაიონული გაზეთი ვერა თუ ახალ ამოცანებს აყენებს, არა თუ წინ მიუძღვის მასებს, არამედ მოვლენების გაშუქებაშიაც კი ხშირად უკან რჩება. უფრო მეტიც — მრავალი შესანიშნავი მოვლენა ზოგ გაზეთს სრულიად რჩება მხედველობიდან.

ავიღოთ თუნდაც გურჯაანის რაიკომისა და რაიაღმასკომის ორგანო „კოლექტიური შრომა“. როგორ აშუქებს ეს გაზეთი საარჩევნო კამპანიას? ჩვენ კარგად ვიცით, რომ საქართველოს ცაკ-ის დადგენილებას არჩევნების დღის დანიშვნის შესახებ მთელი ქვეყანა აღფრთოვანებით შეხვდა. ეს მოვლენა სრულიად არ აისახა გაზ. „კოლექტიურ შრომაში“. ჩვენ კარგად ვიცით, რომ 20 დღეზე მეტი ხნის განმავლობაში საქართველოს მშრომელები აყენებდნენ და გულისხმიერად იხილავდნენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებს. „კოლექტიურმა შრომამ“ თავის 27 აპრილის ნომერში გაზ. „მუშიდან“ გადაბეჭდა თბილისის ორთქლმავალ-ვაგონ-სარემონტო ქარხანასა და სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩატარებული წინასაარჩევნო კრებების ანგარიში, ხოლო გურჯაანში რა მოხდა, ამის შესახებ 12 მაისამდე, როცა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატთა რეგისტრაცია უკვე დამთავრდა, კრინტიც არ დაუძრავს. ჩვენ კარგად ვიცით, რომ საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 4 მაისის მიმართვას ყველა ამომრჩევლისადმი მთელი საქართველო გამოეხმაურა. არც ეს მოვლენა აისახა გაზ „კოლექტიურ შრომაში“. ამ გაზეთის მასალების მიხედვით რომ ვიმსჯელოთ, გურჯაანში საარჩევნო კამპანია მეტად მკრთალად და ნელი ტემპით იშლება, რაც ცხადია, სწორი არ არის.

ავიღოთ, შემდეგ, ცაგერის რაიკომისა და რაიაღმასკომის გაზეთი „ბოლშევიკური ტემპით“. ამ გაზეთს ერთი მეთაური წერილიც კი არ მოუთავსებია საარჩევნო კამპანიის საკითხებზე. მასში საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატთა წამოყენებაზე სიტყვაც არ არის ნათქვამი. (ჩვენ ხელთ არის გაზ. „ბ. ტ.“-ის ყველა ნომერი 2 მაისამდე). გაზეთი სავსეა ოფიციალური მასალებით. ადგილობრივი მასში მხოლოდ ცაგერის რაიაღმასკომის დადგენილებაა საარჩევნო უბნების ორგანიზაციისა და საუბნო საარჩევნო კომისიების შემადგენლობის დამტკიცების შესახებ.

ბევრად უკეთესი მდგომარეობა არც ხულოსა და ზესტაფონის რაიონების გაზეთებშია. ვერც ეს გაზეთები იძლევიან თავიანთი რაიონების მშრომელთა პოლიტიკური და სამეურნეო აქტივობის აღმავლობის სრულ სურათს. ვერც ეს გაზეთები უსწორებენ ნაბიჯს ჩვენი დღეების სწრაფად წინმავალ ცხოვრებას. ასევე შეიძლება ითქვას მრავალ სხვა რაიონულ გაზეთზეც.

ჩვენ შევედით საარჩევნო კამპანიის გადამწყვეტ ეტაპში. დაიწყო აგიტაცია საქართველოს სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატთა სასარგებლოდ. ამ საქმეში დიდი როლი ეკისრება რაიონულ პრესას. ვის შეუძლიან იყოს საქართველოს სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის თავისი რაიონის კანდიდატების ყველაზე საუკეთესო, ყველაზე მასობრივი აგიტატორი? ჩვენს პრესას. ვის შეუძლიან ყველაზე მეტად დაეხმაროს აგიტატორებსა და პროპაგანდისტებს დროულად გააშუქონ მასებში აქტუალური საკითხები? ჩვენს პრესას. ვის შეუძლიან ყველაზე მეტად დაეხმაროს საარჩევნო კომისიებს ბოლშევიკური მუშაობის გასაშლელად უბანში, სადაც წყდება არჩევნების ბედი? ჩვენს პრესას.

პრესამ უნდა მიიტანოს თვითეულ ამომრჩევლამდე ბოლშევიკური სიმართლის მგზნებარე სიტყვები ჩვენი ქვეყნის სახელოვანი ადამიანების ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე. პრესამ უნდა უჩვენოს, რომ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად წამოყენებული არიან ლენინ-სტალინის პარტიის მიერ გამოზრდილი პოლიტიკური მოღვაწენი, პარტიული და არაპარტიული ბოლშევიკები, ისინი, ვინც თავი ისახელა ხალხის საზიზღარ მტრებთან — ტროცკისტ-ბუხარინულ ავაზაკებთან შეურიგებელი ბრძოლით და სოციალიზმის საქმისათვის თავდადებული მუშაობით.

საქართველოს სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს საარჩევნო კამპანია წარმოადგენს ჩვენი გაზეთების სერიოზულ პოლიტიკურ გამოცდას. იმის მიხედვით, თუ რამდენად ცოცხლად, ოპერატიულად, ბოლშევიკურად გააშუქებს ესა თუ ის გაზეთი საარჩევნო კამპანიას, რამდენად მრავალფეროვნად და ოსტატურად მოაწყობს ის ამ საქმეს, რამდენად დაეხმარება პარტიას, მთავრობას, ხალხს არჩევნების საუკეთესო ჩატარებაში, შეიძლება ვიმსჯელოთ ამ გაზეთის ღირსებაზე, თუ ნაკლზე.

კარგად ჩავაბაროთ ეს გამოცდა, უკეთ მოვემსახუროთ საარჩევნო კამპანიას! ასეთია ამოცანა.

საარჩევნო კომისიების წევრთა დასახმარებლად

საქართველოს სსრ ცაკ-ის გამოცემით უახლოეს ორ დღეში ქართულ და რუსულ ენაზე გამოვა ბროშურა „საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების დებულება“, რომელსაც დართული ექნება ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ დაწესებული საარჩევნო დოკუმენტების ფორმები საჭირო განმარტებებით. ამ ბროშურის ამოცანაა დაეხმაროს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების საარჩევნო კომისიების წევრებს საარჩევნო კანონის და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ დაწესებული დოკუმენტების ფორმების სწორად გამოყენების საქმეში.

ამ მიზნით ბროშურაში მოცემულია მთელი რიგი პრაქტიკული მითითებები საარჩევნო კანონის ცალკე მუხლების მიხედვით.

გესტაპოსა და მოიერიშეთა რაზმებს ტერორის ქვეშ ჰყავთ მუშური მოსახლეობა

პრაღა, 22 მაისი (საკდესი). ფაშისტური გერმანიის გაძლიერებულ სამხედრო მზადებასთან დაკავშირებით სილეზია - ჩეხოსლოვაკიის საზღვარზე, გესტაპო (გერმანიის საიდუმლო პოლიცია) მთელს სილეზიაში, განსაკუთრებით პროლეტარულ ცენტრებში, სადაც 10 აპრილს პლებისციტის დროს პროცენტი ხმებისა „არა“ განსაკუთრებით დიდი იყო, აწარმოებს ზურგის „გაწმენდას არასაიმედო ელემენტებისაგან“. როგორც გაზეთები — „დოიჩე ფოლკსვილე“ და „ნოიერ ფორვერტსი“ იტყობინებიან, სილეზიაში ჩამოვიდნენ „სა“ (მოიერიშეთა) და „სს“ (დამცველთა რაზმები), ჟანდარმერიისა და მოსაზღვრე პოლიციის დიდი რაზმები. სილეზიაში მოხდა გესტაპოს მთელი აპარატის შეცვლა, შემოღებულია რკინიგზების, ფოსტის, ტელეგრაფისა და ელსადგურების გაძლიერებული დაცვა. მოიერიშენი ჩხრეკენ ყველა ავტომანქანას ჩეხოსლოვაკიის საზღვრებისაკენ მიმავალ ავტოსტრადაზე. სწარმოებს საყოველთაო ჩხრეკა და მუშათა მასობრივი დაპატიმრებანი. მარტო ერთ სოფელ გეისის 42 სახლში, სადაც ჩხრეკა მოხდა, დაპატიმრებულია 36 კაცი. დაბა კლანსბერგში, ბორზიგვერკში, ჰინდენბურგში და სხვაგან (ქვანახშირის მრეწველობის რაიონები) დაპატიმრებულია 50 მუშა, უმეტეს ნაწილად პროფკავშირის ყოფილი აქტივისტები. გესტაპო და მოიერიშეთა რაზმები ტერორის ქვეშ აყენებენ მუშათა მოსახლეობას, რომელსაც არაერთხელ გამოუთქვამს თავისი უკმაყოფილება ფაშისტური დიქტატურის წინააღმდეგ გაფიცვების გამოცხადების, არეულობისა და დემონსტრაციების მოწყობის გზით. ერთ ადგილას, გლეივიცის მახლობლად, მუშებმა ძალად გაანთავისუფლეს გესტაპოს მიერ დაპატიმრებულნი.

ფაშისტური ძალაუფლების ლონისძიებანი იმას მოწმობენ, რომ ჰიტლერის მიერ ამას წინათ მიცემული დირექტივა, — „მოწესრიგებულ და გაწმენდილ იქნას ზურგი ანტიფაშისტური ელემენტებისაგან“, რაც გამომდინარეობს ცენტრალურ ევროპაში ახალი სამხედრო ავანტიურების მომზადების გეგმისაგან, გაძლიერებული ტერორის საშუალებით ხორციელდება.

ჰენლაინელი პროვოკატორები

პარიზი, 22 მაისი (საკდესი). „ევრი“ იტყობინება, რომ ჩეხოსლოვაკიისა და გერმანიის საზღვარზე მოკლულ მოტოციკლისტებს ჰოფმანსა და ბემს უკანასკნელი 10 დღის განმავლობაში ჩეხოსლოვაკიაში გადაჰქონდათ გერმანიაში დაბეჭდილი ფურცლები, რომლებიც მიზნად ისახავდნენ ჩეხოსლოვაკიის მოსახლეობის დემორალიზებას.

ესპანეთის ფრონტებზე

(საკდესის ცნობების მიხედვით)

აღმოსავლეთის (არაგონიის) ფრონტი

21 მაისს, ლევანტის სექტორში მეამბოხეთა ქვეითმა ჯარმა ტანკებისა და ავიაციის დახმარებით იერიში მიიტანა რესპუბლიკელთა პოზიციებზე ვილაფრანკა დელ სიდთან. რესპუბლიკელთა ჯარებმა ენერგიულად მოიგერიეს ეს იერიში და დიდი ზიანი მიაყენეს მეამბოხეებს.

სხვა ფრონტებზე მდგომარეობა უცვლელია.

ჰავასის სააგენტოს ცნობით, 21 მაისს დილით მეამბოხეთა ბატარეებმა ყუმბარები დაუშინეს მადრიდს. სულ მადრიდს ესროლეს 200-მდე ყუმბარა, რომლებიც უმთავრესად ქალაქის ჩრდილოეთ კვარტალებში სკდებოდა. ბომბარდირებამ მნიშვნელოვანი მატერიალური ზარალი გამოიწვია. ერთერთი ყუმბარა გასკდა ჩილეს საკონსულოს შენობაში. ბომბარდირების შედეგად მოკლულია ოთხი და დაჭრილია თერთმეტი კაცი.

21 მაისს 17 საათზე ფაშისტთა 6 თვითმფრინავი „იუნკერსი“ დაფრინავდა დიდ სიმაღლეზე და კულერის მახლობლად რამდენიმე ყუმბარა ჩამოაგდო ინგლისის სავაჭრო გემ „არნოლდზე“. ამ თავდასხმის შემდეგ ფაშისტთა თვითმფრინავები გაემართნენ ვალენსიისაკენ, მაგრამ რესპუბლიკელთა საზენიტო ბატარეების ინტენსიურმა ცეცხლმა ხელი შეუშალა მათ რეიდი მოეხდინათ ქალაქის თავზე. „იუნკერსებმა“ 50-მდე ყუმბარა ჩამოჰყარეს სანაპირო რაიონში და დიდი ზარალი მიაყენეს მეთევზეთა ნავებს. ადამიანის მსხვერპლი არ არის. რესპუბლიკელთა ავიაგამანადგურებლების ესკადრილიამ უკუაქცია ფაშისტთა თვითმფრინავები.

ფრანკოს არმიიდან გამოქცეულნი

პარიზი, 22 მაისი (საკდესი). ესპანის სააგენტო გადმოგვცემს, რომ 40 ესპანელი ჯარისკაცი, გამოქცეული მეამბოხეთა ტერიტორიიდან, გუშინ გიბრალტარს ჩავიდა. მათ განაცხადეს, რომ მიემგზავრებიან ბარსელონას რესპუბლიკურ ჯარებში შესასვლელად.

იტალიელთა დანაკლისი ესპანეთში

რომი, 21 მაისი (საკდესი). გამოქვეყნებულია მე-15 ოფიციალური სია იტალიელთა დანაკლისისა ესპანეთში მდინარე ებროს სამხრეთით მდებარე რაიონში წარმოებული ბრძოლების დროს. მოკლულ და დაჭრილ ჯარისკაცთა და ოფიცერთა საერთო რიცხვი 3.205 კაცს უდრის.

გამარჯვების მტკიცე ნებისყოფა მჟღავნდება ყველგან ლევანტის ფრონტზე

პარიზი, 22 მაისი (საკდესი). მადრიდიდან იუწყებიან, რომ იქ ჩავიდა კატალონიის მთავრობის მრჩეველი ხუან კომორერა, რომელმაც შემდეგნაირად დაახასიათა ლევანტის ფრონტის მდგომარეობა:

„ლევანტის ფრონტზე ყველგან მჟღავნდება გამარჯვების მტკიცე ნებისყოფა. ამ რკინისებურმა ნებისყოფამ ლევანტის არმიას, რომელიც განირჩევა თავისი დისციპლინით და თავისი სოლიდარობით, მისცა ურყევი ძალა, რაც ბოლოსდაბოლოს გაანადგურებს მეამბოხეებსა და ინტერვენტებს. ზურგშიც იგივე საბრძოლო სულისკვეთება და ორგანიზებულობა არსებობს.

ქ რ ო ნ ი კ ა

სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარი ამხ. მ. მ. ლიტვინოვი ჟენევიდან დაბრუნდა მოსკოვს.

○

სრულიად - რუსეთის ცაკმა რუსეთის სფსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარის მოვალეობისაგან გაანთავისუფლა ამხ. ჯ. ნ. ტვერსკოი.

○

სრულიად-რუსეთის ცაკმა რუსეთის სფსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარედ დაამტკიცა ამხ. იაკობ ერმოლაის-ძე ჩადაევი. (საკდესი).

სტალინის რაიონის მე-15 პარტიული კონფერენცია

23 მაისს, საღამოს 7 საათზე, ორჯონიკიძის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკის თეატრში გაიხსნა სტალინის რაიონის მე-15 პარტიული კონფერენცია.

საქმიან პრეზიდიუმში არჩეული არიან ამხანაგები: ლ. პ. ბერია, კოქლამაზაშვილი, იშხანოვი, ჯაში, კვაჭაძე, კიკაჩეიშვილი, ჯაფარიძე, დავიდოვი, ოქრუაშვილი (ტრამვაი), ხორხელი (ტრამვაი), როსტომაშვილი (თამბაქოს ფაბრიკა), ნიკიტენკო (პედაგოგიური კაბინეტი), ოსიპოვი (თამბაქოს ფაბრიკა), ერაძე (კალინინის სახელობის ქარხანა), გარსევანიძე (რაისაბჭო), მურადაშვილი (მაუდის ფაბრიკა) და მდინარაძე (მაუდის ფაბრიკა).

საპატიო პრეზიდიუმში მქუხარე ოვაციით და მისალმებათა შეძახილებით არჩეულია ხალხთა ბელადი, დიდი სტალინი.

ხანგრძლივი ტაშით არჩეული არიან საპატიო პრეზიდიუმში ამხანაგები მოლოტოვი, კალინინი, ვოროშილოვი, კაგანოვიჩი, მიქოიანი, ანდრეევი, ჩუბარი, ეჟოვი, ჟდანოვი, ხრუშჩევი, დიმიტროვი და ტელმანი.

შემდეგ კონფერენციამ აირჩია სამანდატო კომისია:

საანგარიშო მოხსენებით გამოვიდა პარტიის სტალინის რაიკომის მდივნის მოვალეობის აღმსრულებელი ამხ. ა. თ. კვაჭაძე.

სარევიზიო კომისიის თავმჯდომარის ამხ. გულვერდაშვილის მოხსენების შემდეგ კონფერენცია გადავიდა კამათზე. სულ კონფერენციაზე არჩეულია 267 დელეგატი გადამწყვეტი ხმით და 29 დელეგატი სათათბირო ხმით.

კონფერენციის შემდეგი სხდომა შესდგება 24 მაისს. (საკდესი).

დედაქალაქის სტალინის საარჩევნო ოლქში

დედაქალაქის სტალინის საარჩევნო ოლქში მიმდინარეობს წინასაარჩევნო კრებები. მუშები, ინჟინრები, ტექნიკოსები და მოსამსახურენი იხილავენ მშრომელთა წარმომადგენლების საოლქო საარჩევნო თათბირის გადაწყვეტილებასა და მის მიმართვას ოლქის ამომრჩევლებისადმი. ამ უკანასკნელ დღეებში კრებები შესდგა სტალინის რაიონის თითქმის 80 საწარმოში—ლ. მ. კაგანოვიჩის სახელობის საპროჟექტორო ქარხანაში, ქარხნებში—„მასტიაჟარტი“, „ნეფტეგაზი““, „კომეგა“, „სპრინკლერი“, მოსკოვის საინსტრუმენტო ქარხანაში, ფაბრიკებში — „კრასნაია ზარია“, „კრასნი ვოსტოკი“ და სხვ.

ყველგან მშრომელები მხურვალედ მიესალმებიან საოლქო წინასაარჩევნო თათბირის გადაწყვეტილებას ქ. მოსკოვის სტალინის საარჩევნო ოლქში რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად **იოსებ ბესარიონის-ძე სტალინის დასახელების** შესახებ. (საკდესი).

საქართველოს სსრ პავილიონის გაფორმება სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე

მთავრდება გაფორმება საქართველოს სსრ პავილიონისა სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე.

ამ პავილიონის მხატვრულ გაფორმებას საფუძვლად დაედო იდეა „საქართველო — დიდი სტალინის სამშობლოა“. საქართველოს სსრ პავილიონის ცენტრში სტენდზე ნაჩვენები იქნება მაკეტი სახლისა გორში, სადაც დაიბადა და ბავშვობის წლები გაატარა ამხანაგმა სტალინმა.

აქვე პავილიონის ცენტრში, მოთავსებული იქნება გრანდიოზული პანო, რომელიც გამოსახავს ამხანაგ სტალინის საუბარს საქართველოს კოლმეურნეებთან, საპირველმაისო დემონსტრაციას თბილისში ამხანაგ სტალინის მეთაურობით, ხალხთა მეგობრობას, სოციალისტური საქართველოს აყვავებას დიადი სტალინური კონსტიტუციის საფარქვეშ.

პანოს გაკეთებაზე მუშაობენ მხატვრები მ. თოიძე, ი. თოიძე, ვ. სიდამონ-ერისთავი, ვ. კროტკოვი და სხვები. (საკდესი).

კიდევ უფრო მაღლა ავსწიოთ საბჭოთა მეცნიერების დროშა!

ვიმუშაოთ თავდადებულად, გულმოდგინედ

ქუთაისი, 22 მაისი (ტელეფონით საკ. კორ.). დღეს ქუთაისის პედაგოგიურ ინსტიტუტში შესდგა პროფესორებისა, მეცნიერ მუშაკებისა და ინსტიტუტის სტუდენტთა სახელდახელო მიტინგი, რომელიც მოწვეული იყო უმაღლესი სკოლის მუშაკთა საკავშირო თათბირის მონაწილეთა კრემლში მიღებისა და ამ მიღებაზე დიდი ბელადის სტალინის მიერ წარმოთქმული სიტყვის გამო.

მიტინგზე სიტყვებით გამოვიდნენ: პროფ. მ. გოგიბერიძე, დოც. გრ. ხავთასი, დოც. ვ. ქაჯაია, ახალგაზრდა მეცნიერი მუშაკი გ. სამხარაძე და სხვ.

ორატორები აღნიშნავდნენ დიდი ბელადის მიერ ნათქვამი სიტყვების ისტორიულ მნიშვნელობას საბჭოთა მეცნიერების შემდგომი განვითარებისათვის.

მიტინგზე ერთხმად მიღებულ რეზოლუციაში ნათქვამია:

— „ბელადის სიტყვის საპასუხოდ ვკისრულობთ გაათკეცებული ენერგიით ვიბრძოლოთ გამარჯვებული სოციალიზმის ქვეყნის მეცნიერულ მონაპოვართა გასამრავლებლად და იმ დიად ამოცანათა შესასრულებლად, რომელთაც პარტია და ხელისუფლება საბჭოთა მეცნიერ მუშაკებს უსახავენ.

მ. გვასალია

უდიდესი აღფრთოვანება

საბჭოთა საქართველოს მეცნიერი მუშაკები, ისევე როგორც საბჭოთა კავშირის ყველა მშრომელი, უდიდესი აღტაცებისა და უსაზღვრო სიამაყის გრძნობით შეხვდნენ ხალხთა ბელადის, დიდი სტალინისა და ამხანაგი მოლოტოვის ისტორიულ სიტყვებს, მიმართულს საბჭოთა მეცნიერების ადამიანებისადმი.

ორდენოსანი საქართველოს მეცნიერება ასევე ერთსულოვნად ხვდებიან სსრ კავშირის უმაღლესი სკოლის მუშაკთა პირველი სრულიად-საკავშირო თათბირის მიმართვას უმაღლესი სკოლის ყველა მუშაკისა, პროფესორისა, მასწავლებლისა და მოსწავლისადმი. ეს მიმართვა მეცნიერ მუშაკებს გვავალებს მარქს-ენგელს-ლენინ-სტალინის გენიალური მოძღვრების საფუძველზე კიდევ უფრო მაღალ საფეხურზე დავაყენოთ უმაღლესი განათლების საქმე!

ხალხთა ბელადის დიდი სტალინისა და ამხანაგ მოლოტოვის ისტორიული სიტყვები მოსწავლე ახალგაზრდობას და მეცნიერ მუშაკებს გვავალებს კიდევ მეტი მონდომებით, კიდევ მეტი ენტუზიაზმით ვიმუშაოთ მოწინავე მეცნიერებისა და ტექნიკის უმაღლესი მწვერვალების დაპყრობისათვის.

პროფ. შ. კაკაბაძე.

წინ, ლენინ-სტალინის დროშით

საბჭოთა კავშირის უმაღლესი სკოლის მუშაკთა პირველმა სრულიად-საკავშირო თათბირმა აღნიშნა, რომ მსოფლიოში არ არსებობს მეორე ქვეყანა, სადაც მეცნიერულ აზროვნებას ჰქონდეს ისეთი ფართო გასაქანი, როგორც ეს გამარჯვებული სოციალიზმის ქვეყნის მეცნიერებას აქვს.

თათბირმა აღნიშნა ისიც, რომ საბჭოთა უმაღლესი სკოლის სტუდენტობა უზრუნველყოფილია ყველა საჭირო მატერიალური და კულტურული პირობებით მეცნიერების დაუფლებისათვის.

ჭეშმარიტად ეს ასეა.

უმაღლესი სკოლის მეცნიერ მუშაკებს ლენინ-სტალინის პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მიერ დაკისრებული გვაქვს დიდი და საპატიო მოვალეობა—მოვამზადოთ და აღვზარდოთ უმაღლესი კვალიფიკაციის მქონე, სოციალისტური მშენებლობის აქტიური მონაწილე, უნარიანი, ლენინ-სტალინის პარტიის დიადი საქმის ბოლომდე ერთგული საბჭოთა სპეციალისტები.

აი, რას გვავალებს ჩვენ, მეცნიერ მუშაკებს, დიდი სტალინისა და ამხანაგი მოლოტოვის ისტორიული სიტყვები და უმაღლესი სკოლის მუშაკთა პირველი სრულიად-საკავშირო თათბირის ღირსშესანიშნავი მიმართვა.

პროფ. დ. აგლაძე.

წალენჯიხის საბჭოთა მეურნეობამ ვადამდე შეასრულა ჩაის ფოთლის კრეფის მაისის გეგმა

სტახანოველი ქალი ამხ. დიდენკო ნორმას 1000 პროცენტით ასრულებს

წალენჯიხა, 22 მაისი (საქდესი). 21 მაისს წალენჯიხის ჩაის საბჭოთა მეურნეობამ ვადამდე შეასრულა ჩაის მწვანე ფოთლის კრეფის მაისის გეგმა.

საბჭოთა მეურნეობის კოლექტივი კარგად მოემზადა სეზონისათვის. წინასწარ იყო მომზადებული მთელი საჭირო ინვენტარი. მკრეფელებმა თავის დროზე იცოდნენ მათთვის გამოყოფილი ნაკვეთები.

კრეფის პირველსავე დღეებში მრავალმა მუშამ სტახანოვური მუშაობის მაგალითები გვიჩვენა. სტახანოველი ქალი ამხ. დიდენკო დღეში ამჟამად ჰკრეფს 81 კილოგრამ ფოთოლს, მაშინ როდესაც კრეფის დღიური ნორმა 8 კილოგრამს უდრის, და ნორმას 1000-ზე მეტი პროცენტით ასრულებს.

მკრეფელი ქალი ამხ. დანილენკო პირველ დღეებში 42 კგრ. ფოთოლს ჰკრეფდა, ხოლო 18 მაისიდან იგი დღეში უკვე 72 კგრ. ჰკრეფს. მკრეფელმა ქალმა ამხ. ა. შუბინამ კრეფა 44 კილოგრამიდან 75 კილოგრამამდე აიყვანა. 50-დან 58 კილოგრამამდე ჰკრეფენ: ამხ. სარიჩევა, ბოკოვა, ვორობიოვა, მოროზოვა, შეფერი და სხვ. საბჭოთა მეურნეობის ასზე მეტი სტახანოველი დღეში 25-დან 40-მდე კილოგრამ ფოთოლს ჰკრეფს. მათ მიერ მოკრეფილი მთელი ფოთოლი პირველი ხარისხისაა.

აბრეშუმის პარკის პირველი მოსავალი

წულუკიძე, 23 მაისი (საკ. კორ.). წულუკიძის რაიონში დაიწყო აბრეშუმის პარკის დამზადება. 23 მაისს სტახანოველმა მეაბრეშუმემ ელპიტე იოველ-ასულმა ლაითაძემ პირველმა ჩააბარა პარკი რაიაბრეშუმს. 7 გრამი თესლიდან გეგმით უნდა ჩაებარებინა 22 კილოგრამი პარკი, ჩააბარა—39,6 კილოგრამი. გეგმა შეასრულა 177,2 პროცენტით და მიიღებს ფულად პრემია - დანამატს დაახლოებით 831 მანეთს.

ამხ. ნატალია გიორგის-ასული წიკლაურის შეხვედრა თავის ამომრჩევლებთან

მცხეთა, 21 მაისი (საქდესი). 20 მაისს საღამოს თავის ამომრჩევლებს შეხვდა საქ. სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატი ამხ. ნატალია გიორგის-ასული წიკლაური.

მცხეთის აგურ-კრამიტის ქარხნისა და მცხეთის სასოფლო საბჭოს მშრომელებმა ამხ. წიკლაურს მხურვალე შეხვედრა გაუმართეს.

ტრიბუნაზეა ამხ. წიკლაური.

— ჩვენი თვალუწვდენელი და უძლეველი სამშობლო, — ამბობს თავის სიტყვაში ამხ. წიკლაური, — აყვავებულია. დიდია სიხარული, რომელსაც ჩვენი მზიური ქვეყნის მშრომელები განიცდიან. ცხოვრება საამური გახდა. სოციალისტური სამშობლოს მუშები, გლეხები, საბჭოთა ინტელიგენცია ცხოვრობს და სუნთქავს ერთი მისწრაფებით — ემსახურონ ლენინ - სტალინის პარტიის საქმეს, ბრძენი სტალინის საქმეს. ჩვენი მშრომელები ცხოვრობენ სტალინური სიდიადით გასხივოსნებული კონსტიტუციით, რომელიც ყველაზე დემოკრატიულია მთელს მსოფლიოში და რომელიც შრომის, განათლების, დასვენების, სახელმწიფო მართვა-გამგეობის უფლებებს ანიჭებს საბჭოთა თვითეულ მშრომელს.

კაპიტალისტურ ქვეყნებში კი მშრომელები და განსაკუთრებით მშრომელი ქალები აუტანელ პირობებში ცხოვრობენ. ისინი განიცდიან შიმშილს, უუფლებობას განიცდიან, ადამიანებად არ ითვლებიან, მათ არა აქვთ უფლება მიიღონ მონაწილეობა სახელმწიფო მართვა-გამგეობაში.

ჩვენს ქვეყანაში კი მშრომელი ქალები სოციალიზმის აქტიური მშენებლები არიან. სოციალისტურ სამშობლოს ათასობით ჰყავს გმირი ქალები, რომლებიც ღირსეულად ემსახურებიან ლენინ - სტალინის დიად საქმეს, რომლებიც ჩვენი აყვავებული სამშობლოს უსაზღვრო პატრიოტები არიან.

აუწერელია ჩემი სიხარული. თბილისის რაიონის მშრომელებმა მე წამომაყენეს საქ. სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად. უღარიბესი გლეხის შვილს, რომელსაც საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე საცხოვრებელი ბინაც კი არა მქონდა, ლენინ-სტალინის პარტიამ მომცა სწავლა-განათლება და მუშაობის საშუალება. ცხვარიჭამიის სასოფლო საბჭოს მშრომელებმა, გამომიცხადეს რა თავიანთი ნდობა, ამირჩიეს სასოფლო საბჭოს თავმჯდომარედ.

პირობას გაძლევთ დაუღალავად ვემსახურო ხალხს, დიადი კომუნისტური პარტიის საქმეს.

სიტყვა წარმოსთქვეს ამომრჩევლებმა ამხ. ბინუევმა, ფილიპენკომ, ძამკოვმა და სხვ. (საქდესი).

გულთბილი შეხვედრა

ზესტაფონი, 23 მაისი (საქდესი). პირველი სვირის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრები ხალისით შეიკრიბნენ პირველი სვირის № 7 საარჩევნო უბნის ამომრჩეველთა კრებაზე. აქ ამომრჩევლებს შეხვდა საქართველოს უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის მათ მიერ დასახელებული კანდიდატი ამხ. ი. მარაქველიძე.

რწმუნებულმა ამხანაგ გ. ლილუაშვილმა ამომრჩევლებს გააცნო კენჭის საყრელად რეგისტრირებული, დეპუტატობის კანდიდატი ამხ. იულია მარაქველიძე. მან ილაპარაკა იმაზე, თუ როგორ დაიმსახურა ამხ. იულიამ ხალხის ნდობა და რითი გახდა ღირსი ყოფილიყო დასახელებული საქართველოს უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად.

სიტყვებით გამოსული ამომრჩევლები თავიანთ მგზნებარე სიტყვებში ლაპარაკობდნენ ბედნიერი და საამური ცხოვრების შესახებ, ლაპარაკობდნენ ხალხთა ბელადზე—დიდ სტალინზე, რომელმაც ეს ბედნიერი ცხოვრება შეუქმნა მათ. ლაპარაკობდნენ თავისი ოლქის სახელოვანი კანდიდატის ამხ. ი. მარაქველიძის შესახებ.

ჩვენი უბნის ყველა ამომრჩეველი —სთქვა ამხ. ბ. გეწაძემ,—როგორც ერთი კაცი, არჩევნების დღეს, 12 ივნისს უკლებლივ მოვა საარჩევნო ყუთთან და ხმას მისცემს ჩვენს კანდიდატს ამხ. მარაქველიძეს.

ამომრჩეველთა წინაშე სიტყვით გამოვიდა საქართველოს უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატი ამხ. იულია მარაქველიძე. მან თავის ბრწყინვალე სიტყვაში ამომრჩევლებს მოუთხრო იმის შესახებ, თუ როგორ გაჭირვებულად ცხოვრობდა იგი თვითმპყრობელობისა და მენშევიკების ბატონობის დროს, როგორ შეიცვალა, როგორ ხალისიანი გახდა მისი ცხოვრება საბჭოთა ხელისუფლების დროს, როგორ დააფასეს მისი შრომა. დასასრულ მან მადლობა გადაუხადა ამომრჩევლებს მისთვის გამოცხადებული ნდობისათვის. ამხ. ი. მარაქველიძის სიტყვები უდიდესი ყურადღებით იქნა მოსმენილი. ამომრჩევლებმა იგი მქუხარე ოვაციით დააჯილდოვეს. (საქდესი).

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატთა რეგისტრაცია

აფხაზეთის ასსრ

ამხ. ს. ა. გოგლიძის

კანდიდატურა რეგისტრირებულია

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების სოხუმი-ბესლეთის № 197 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიამ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობაზე კენჭისსაყრელად რეგისტრაციაში გაატარა ამხ. სერგო არსენის-ძე გოგლიძე, საქ. კ. პ. (ბ) წევრი, საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი, სახელმწიფო უშიშროების მე-2 რანგის კომისარი, ქ. თბილისის მცხოვრები. (საქდესი).

ფოთი

ამხ. ი. კ. გაბისონიას

კანდიდატურა რეგისტრირებულია

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების ფოთის № 193 საქალაქო საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიამ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობაზე კენჭისსაყრელად რეგისტრაციაში გაატარა იონა კონსტანტინეს-ძე გაბისონია, დაბადებული 1902 წელს, პარტიის წევრი, პარტიის ფოთის საქალაქო კომიტეტის მდივანი, მცხოვრები ქალაქ ფოთში. (საქდესი).

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატთა რეგისტრაცია

ზუგდიდი

ამხ. გ. ნ. საჯაიას

კანდიდატურა რეგისტრირებულია

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების დარჩელის № 180 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიამ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობაზე კენჭისსაყრელად რეგისტრაციაში გაატარა ამხ. გურია ნიკოლოზის-ძე საჯაია, უპარტიო, ორსანტიის გეგეჭკორის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, ორდენოსანი, ზუგდიდის რაიონის სოფ. ორსანტიის მცხოვრები.

⁂

ამხ. ზ. ლ. ქვარაიას

კანდიდატურა რეგისტრირებულია

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების ცაიშის № 182 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიამ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობაზე კენჭისსაყრელად რეგისტრაციაში გაატარა ამხ. ზინა ლუზას-ასული ქვარაია, უპარტიო, ჭითაწყალის კოლმეურნეობა „ლენინის გზის" სტახანოველი კოლმეურნე - ქალი, ზუგდიდის რაიონის სოფ. ჭითაწყალის მცხოვრები.

⁂

ამხ. გ. ზ. ქარჩავას

კანდიდატურა რეგისტრირებულია

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების ნარაზენის № 183 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიამ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობაზე კენჭისსაყრელად რეგისტრაციაში გაატარა ამხ. გრიგოლ ზოსიმეს-ძე ქარჩავა, საქ. კ. პ. (ბ) წევრი, „საქჩაის" ტრესტის მმართველი, ქ. თბილისის მცხოვრები.

ზესტაფონი

ამხ. რ. ა. მამალაძის

კანდიდატურა რეგისტრირებულია

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების ზესტაფონის № 114 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიამ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობაზე კენჭისსაყრელად რეგისტრაციაში გაატარა ამხ. რომან არსენის-ძე მამალაძე, საქ. კ. პ. (ბ) წევრი, ფეროშენადნობთა ქარხნის სტახანოველი მდნობელი, ქ. ზესტაფონის მცხოვრები.

⁂

ამხ. ვ. მ. ძიძიგურის

კანდიდატურა რეგისტრირებულია

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების ქვედა საქარის № 117 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიამ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობაზე კენჭისსაყრელად რეგისტრაციაში გაატარა ამხ. ვარლამ მიხეილის-ძე ძიძიგური, საქ. კ. პ. (ბ) წევრი, საქ. კ. პ. (ბ) ზესტაფონის რაიკომის მდივნის მოვალეობის აღმსრულებელი.

⁂

ამხ. ო. გ. თოდაძის

კანდიდატურა რეგისტრირებულია

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების შორაპნის № 116 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიამ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობაზე კენჭისსაყრელად რეგისტრაციაში გაატარა ამხ. ონისიმე გერმანეს-ძე თოდაძე, საქ. კ. პ. (ბ) წევრი, საქ. ჯანმრთელობის სახალხო კომისარი, ქ. თბილისის მცხოვრები.

რაიონული პარტიული კონფერენციები

სოხუმი

(ტელეგრაფით საქ. კორესპონდენტისაგან)

ორ დღეს გაგრძელდა სოხუმის რაიონის პარტიული კონფერენცია, რომელიც 19 მაისს გაიხსნა. კონფერენციამ მქუხარე ოვაციით საპატიო პრეზიდიუმში აირჩია ამხანაგი **სტალინი**, პოლიტბიუროს შემადგენლობა, ამხანაგები ბერია, დიმიტროვი, ტელმანი და ხოზე დიასი.

კონფერენციამ პირველ სხდომაზე მოისმინა პარტრაიკომის მდივნის დომენტი ალანიას მოხსენება განვლილი მუშაობის შესახებ და სარევიზიო კომისიის წევრის სამოილენკოს მოხსენება, რის შემდეგ დაიწყო კამათი.

კამათში მონაწილეობა მიიღეს ამხანაგებმა აბაკელიამ, სირაძემ, ვაცაძემ, გრებენიკოვმა, ჯეჯელავამ, კალაიდოპულომ, გაგუამ, ოვანესიანმა, ოვანოვმა და სხვებმა, სულ 29 კაცმა. ისინი აღნიშნავდნენ, რომ პარტგანათლება ჯერ კიდევ სუსტად არის დაყენებული, ხშირად იშლება წრეების მეცადინეობა. პარტრაიკომი სათანადოდ არ ეხმარებოდა პარტკაბინეტს. მკვეთრად გააკრიტიკეს რაიმიწგანის მუშაობა. პარტიული ორგანიზაცია საანგარიშო პერიოდში სათანადო ყურადღებას არ აქცევდა სამიწათმოქმედო ორგანოებს. მიწგანის კანცელარულ - ბიუროკრატიული აპარატი სუსტად ხელმძღვანელობს კოლმეურნეობებს. ერთის მხრივ ამითაც აიხსნება ჩამორჩენა საგაზაფხულო თესვაში. ამხანაგები მიუთითებდნენ აგრეთვე პარტიული მეურნეობის მოუწესრიგებლობაზე და სხვ.

კონფერენციამ, რომელსაც 47 დელეგატი ესწრებოდა, რაიკომის განვლილი მუშაობა ჩასთვალა დამაკმაყოფილებლად და მიიღო პრაქტიკული ღონისძიებანი.

შემდეგ კონფერენციამ აირჩია პლენუმი ოცდახუთი წევრისა და ცხრა კანდიდატის შემადგენლობით და სარევიზიო კომისია. კონფერენციის შემდეგ შესდგა ახლად არჩეული პლენუმის სხდომა, რომელმაც რაიკომის პირველ მდივნად აირჩია ამხ. დომენტი ვლადიმერის-ძე ალანია, მეორე მდივნად — სპირიდონ ალექსის-ძე ესებუა, მესამე მდივნად—თედორე სტეფანეს-ძე გაგუა, კულტპროპგანყოფილების გამგედ დაამტკიცა თამარ ელიზბარის-ასული ქუჩულორია, გაზეთ „სტალინელის" რედაქტორად თოლორდავა და ბერძნული გაზეთის „კომუნისტის" რედაქტორად პუმპურიდი. კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო პარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მდივანმა ამხ. ნესტორ გიორგაძემ.

გ. მერკვილაძე

ბორჯომი

(საქ. კორესპონდენტისაგან)

ამა წლის 15-17 მაისს მიმდინარეობდა საქ. კ. პ. (ბ) ბორჯომის ორგანიზაციის მე-17 რაიონული კონფერენცია. კონფერენციას დაესწრო 101 დელეგატი გადამწყვეტი ხმით, სათათბიროთი—7.

საპატიო პრეზიდიუმში კონფერენციამ მქუხარე ტაშისცემით აირჩია პოლიტბიუროს შემადგენლობა დიდი სტალინის მეთაურობით და აგრეთვე ამხანაგები ბერია, გ. დიმიტროვი, ტელმანი და ხოზე დიასი.

ხელმძღვანელი ორგანოების არჩევნების შემდეგ კონფერენციამ საქ. კ. პ. (ბ) ბორჯომის რაიკომის განვლილი მუშაობის შესახებ მოისმინა რაიკომის მდივნის ამხ. გ. კუხალეიშვილის საანგარიშო მოხსენება და სარევიზიო კომისიის მუშაობის ანგარიში.

მოხსენებათა ირგვლივ გაიმართა გაცხოველებული კამათი, რომელშიაც მონაწილეობა მიიღო 38 ამხანაგმა.

როგორც მოხსენებიდან, ისე კამათიდან გამოირკვა, რომ საანგარიშო პერიოდში გაიზარდნენ და დაწინაურდნენ ახალგაზრდა კადრები. სხვადასხვა პასუხსაგებ სამუშაოებზე დაწინაურებულია 150 კაცზე მეტი—პარტიული და არაპარტიული ბოლშევიკები. საქ. კ. პ. (ბ) რიგებში საანგარიშო პერიოდის განმავლობაში პარტიის წევრობის კანდიდატობიდან წევრად მიღებულია 65 კაცი; საქ. კ. პ. (ბ) წევრობის კანდიდატად—126, მათ შორის 92 კომკავშირელი და 34 თანამგრძნობია. ერთი წლის მანძილზე თანამგრძნობთა ჯგუფში მიღებულია 105 კაცი.

კონფერენციამ რაიკომის განვლილი მუშაობა დამაკმაყოფილებლად შეაფასა და მიიღო მომავალი მუშაობის ღონისძიებანი.

არჩეულ იქნა რაიკომის პლენუმი 31 წევრისა და 11 კანდიდატის შემადგენლობით და სარევიზიო კომისია 5 ამხანაგის შემადგენლობით.

ყრილობის დელეგატებად გადამწყვეტი ხმის უფლებით არჩეულ იქნენ ამხანაგები: ლ. პ. ბერია, გ. კუხალეიშვილი, მ. ჭაკნელიძე, გ. არჯევანიძე, ი. ელიზბარაშვილი, ნ. კუცია, ნ. ლომიძე, ა. ფირალიშვილი და ვ. ზერეკიძე. სათათბირო ხმის უფლებით არჩეულია ამხ. ვ. მაჭარაშვილი.

კონფერენციამ მისასალმებელი დეპეშები გაუგზავნა ხალხთა დიდ ბელადს ამხანაგ სტალინს და ამხანაგ ლ. პ. ბერიას.

კონფერენციის დამთავრების შემდეგ შესდგა ახლად არჩეული რაიკომის პლენუმი. პლენუმმა აირჩია რაიკომის ბიურო 7 წევრისა და 2 კანდიდატის შემადგენლობით.

პლენუმმა რაიკომის პირველ მდივნად აირჩია ამხ. გიორგი კუხალეიშვილი, მეორე მდივნად—ამხ. იროდიონ ელიზბარაშვილი, მესამე მდივნად—ამხ. სერგო ზანგურიძე.

კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობას ღებულობდა საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის პრესისა და გამომცემლობის განყოფილების გამგე ამხ. მ. ჭაკნელიძე.

გრ. ლომიძე

სტალინირი

სამი დღე მიმდინარეობდა საქ. კ. პ. (ბ) სტალინირის ორგანიზაციის რაიონული კრება. კრებამ მოისმინა რაიკომის მდივნის ამხ. ა. ცხოვრებოვისა და სარევიზიო კომისიის თავმჯდომარის ამხ. ე. გაზაევის საანგარიშო მოხსენება. სიტყვით გამოსული ამხანაგები მკაცრად აკრიტიკებდნენ რაიკომისა და პირველადი ორგანიზაციების მუშაობას. წუნარის პარტორგანიზაციაში ცუდადაა დაყენებული პოლიტიკური სწავლება (პროპაგანდისტი ტაგიევი), გრომსა და ორტევში სუსტად სწარმოებს მუშაობა თანამგრძნობთა ჯგუფებთან, ხოდსა და გრომში აჭიანურებენ პარტიაში ახალ წევრთა მიღებას. სემინარებსა და კონსულტაციების ორგანიზაციას რაიკომი არადამაკმაყოფილებლად ხელმძღვანელობს. სუსტია კომუნისტების ავანგარდული როლი. რუსთავის კოლმეურნეობაში ხარებოვი და პილიევი ჩამორჩებიან უპარტიოებს გეგმების შესრულებაში. რაიკომის ახალი ხელმძღვანელობა ბოლშევიკურად იბრძვის ამ ნაკლის გამოსასწორებლად. კრებამ რაიკომის მუშაობა დამაკმაყოფილებლად შეაფასა.

დახურული (ფარული) კენჭისყრით არჩეულ იქნა რაიკომის პლენუმის წევრები, სარევიზიო კომისია და დელეგატები საოლქო კონფერენციისათვის. კონფერენციის შემდეგ შესდგა რაიკომის პლენუმი. პლენუმზე რაიკომის პირველ მდივნად არჩეულ იქნა ამხ. ცხოვრებოვი, მეორე მდივნად — ამხ. ლაზარაშვილი და მესამე მდივნად — ამხ. ალბოროვი.

რაიონული კრების მუშაობაში მონაწილეობას ღებულობდნენ საქ. კ. პ. (ბ) სამხრეთ-ოსეთის საოლქო კომიტეტის მდივნები — ამხ. ცხოვრებაშვილი და სანაკოევი. (საქდესი).

ცაგერი

(საქ. კორესპონდენტისაგან)

20 მაისს დაიწყო და 21 მაისს დამთავრდა ცაგერის რაიონის მე-7 სარაიონო პარტიული კონფერენცია. ხელმძღვანელი ორგანოების არჩევის შემდეგ რაიკომის განვლილი მუშაობის შესახებ საანგარიშო მოხსენება გააკეთა რაიკომის მდივანმა ამხ. ს. ჭელიძემ. კონფერენციამ აგრეთვე მოისმინა სარევიზიო კომისიის საანგარიშო მოხსენება.

მოხსენებათა ირგვლივ გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღო 25 ამხანაგმა. მოკამათეებმა მკაცრად გააკრიტიკეს რაიმიწგანის, სარაიონო კოოპერატივისა და სასამართლო - პროკურატურის ორგანოების მუშაობა. ამასთან მოკამათეებმა აღნიშნეს რაიკომისა და ცალკეული პირველადი პარტიული ორგანიზაციების სუსტი მუშაობა პოლიტიკური აგიტაციისა და პარტიის რეზერვთან მუშაობის საქმეში.

კონფერენციამ რაიკომის განვლილი მუშაობა დამაკმაყოფილებლად ჩასთვალა. რაიკომის პლენუმის შემადგენლობაში არჩეულ იქნა 23 წევრი და 9 კანდიდატი, ხოლო სარევიზიო კომისიაში 5 კაცი. არჩეულ იქნა აგრეთვე საქ. კ. პ. (ბ) მე-11 ყრილობის დელეგატები.

კონფერენციის დამთავრების შემდეგ შესდგა ახლად არჩეული რაიკომის პლენუმის სხდომა. პლენუმმა აირჩია რაიკომის ბიურო 5 წევრისა და 2 კანდიდატის შემადგენლობით. რაიკომის პირველ მდივნად არჩეულ იქნა ამხ. ს. ჭელიძე, მეორე მდივნად—ამხ. ს. სილაგაძე, ხოლო მესამე მდივნად—ამხ. ს. ყვირილიანი. კონფერენციისა და პლენუმის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის წარმომადგენელმა ამხ. ჭიჭინაძემ.

გ. ყურაშვილი.

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის 26 კომისრის რაიონის მე-20 პარტკონფერენციის სხდომის დარბაზში. დელეგატები ისმენენ რაიკომის მდივნის ამხ. მილშტეინის საანგარიშო მოხსენებას.

ფოტო ბუდეშტსკისა („სოიუზფოტოს" საქ. განყ.)

შესამოწმებელი გამოცდები საშუალო სკოლაში

საშუალო სკოლაში დაიწყო შესამოწმებელი და გამოსაშვები გამოცდები. ამ გამოცდებს მთელი ჩვენი ქვეყანა ღრმა ინტერესით ადევნებს თვალყურს. მის წინაშე გამოცდაზე გამოდიან არა მარტო ათეული მილიონობით მოწაფეები, არამედ აგრეთვე პედაგოგები, საშუალო განათლების ხელმძღვანელი ორგანოები, რესპუბლიკათა განსახკომები.

საშუალო სკოლა აჯამებს ერთი წლის სასწავლო შრომის შედეგებს. მოწაფეთა ცოდნის შემოწმება—ეს მასწავლებლების, მთელი პედაგოგიური პერსონალის მუშაობის შემოწმებაცაა. შესამოწმებელ გამოცდებში, როგორც სარკეში, ისახება თვითეული სკოლის, თვითეული კლასის ძლიერი და სუსტი მხარეები.

სკოლის სული და გული მასწავლებელია. მას ხალხმა მიანდო უდიდესი პოლიტიკური მნიშვნელობის საქმე: სოციალისტური ხალხის ნორჩი ყლორტების გამოზრდა, კომუნიზმის მომავალ მშენებელთა მომზადება და აღზრდა.

ჩვენ გვახსოვს ვ. ი. ლენინის დიადი ანდერძი:

„სახალხო მასწავლებელი ჩვენში ისეთ სიმაღლეზე უნდა იქნას დაყენებული, რომელზედაც იგი არასოდეს არ მდგარა, არც დგას და არც შეიძლება იდგეს ბურჟუაზიულ საზოგადოებაში". ეს ანდერძი განხორციელებულია. იგი წითელ ზოლადაა გავლებული ლენინ-სტალინის პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მთელ პოლიტიკაში, რომელიც მიმართულია ჩვენი ქვეყნის კულტურული აღმავლობისაკენ, განათლებისა და ცოდნის მწვერვალთა მიღწევისაკენ. ამხანაგი სტალინის ინიციატივით მიღებულია და ტარდება ღონისძიებანი იმისათვის, რათა მასწავლებელი კიდევ უფრო მაღლა იქნას აყვანილი, განმტკიცდეს მისი მატერიალური მდგომარეობა, ამაღლდეს მისი ავტორიტეტი, გამდიდრდეს იგი ცოდნით, გაფართოვდეს მისი პოლიტიკური ჰორიზონტი.

დააწესეს რა 1936 წელს მასწავლებლებისათვის პერსონალურ სახელწოდებათა შემოღების და მასწავლებლების, სკოლათა გამგეებისა და დირექტორების დანიშვნის წესი, სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭომ და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა აღნიშნეს, რომ „საბჭოთა მასწავლებლობა მძლავრ კულტურულ ძალად გაიზარდა, გამოჰყო რა თავისი რიგებიდან მასწავლებლები, რომლებიც კარგად ჰფლობენ პედაგოგიურ ოსტატობას და გვიჩვენებენ ნიმუშებს მოზარდი თაობის სწავლებისა და ლენინური აღზრდის საქმეში..."

საბჭოთა ხალხი დიდად აფასებს ასეთ მასწავლებლებს. ბავშვებისადმი მათი სიყვარულისათვის, სამშობლოსადმი მათი ერთგულებისათვის ხალხი ღრმა პატივისცემით ეპყრობა დამკვრელ მასწავლებლებს. ჩვენი ქვეყნის საუკეთესო ადამიანთა შორის, სსრკ უმაღლეს საბჭოში რომ არიან არჩეულნი, მოიპოვებიან მასწავლებლები და მასწავლებელი ქალები, რომელთა სახელები ცნობილია მთელი ჩვენი ქვეყნისათვის. მასწავლებლის სამუშაოზე ოლღა თევდორეს-ასულმა ლეონოვამ, სსრკ უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა, ფართო პოპულარობა მოიხვეჭა.

წინასაარჩევნო კრებებზე, რომლებიც ახლა მთელს ჩვენს ქვეყანაში მიმდინარეობს, ხალხი ყველგან ცოტა მასწავლებლებს როდი ასახელებს მოკავშირე და ავტონომიურ რესპუბლიკათა უმაღლესი საბჭოების დეპუტატობის კანდიდატთა შორის. მოსკოვის ტაგანკის საარჩევნო ოლქში წამოაყენეს მასწავლებელი მარიამ პავლეს-ასული ტომილინა, რომელიც 26 წელია სკოლაში მუშაობს. ლენინგრადში წამოყენებულია ახალგაზრდა მასწავლებელი კომკავშირელი მარიამ ვიაჩესლავის-ასული კროპაჩევა, ტაჯიკეთის სს რესპუბლიკაში—მასწავლებელი ადოლიათ უსტაბაევი. ყაზახეთის სს რესპუბლიკაში — ამუნხაი შუგაევა და სხვ.

ასეა დაყენებული ჩვენში სახალხო მასწავლებელი ისეთ სიმაღლეზე, რომელზედაც მას არასოდეს არ შეუძლია იდგეს ბურჟუაზიულ საზოგადოებაში.

სკოლასა და მასწავლებელზე პარტიისა და მთავრობის მზრუნველობის შედეგები თვალწინაა. ეჭვს გარეშეა, რომ სწავლება სკოლაში გაუმჯობესდა, მეტია წესრიგი, გაძლიერდა სასწავლო დისციპლინა. ამას მოწმობენ მიმდინარე წლის შესამოწმებელი გამოცდების პირველი დღეებიც. სკოლების უმეტესობაში ბავშვები მხნედ, ენერგიულად, ხალისიანად მიდიან გამოცდებზე. სჩანს რწმენა თავისი ძალებისადმი. არ არსებობს შიში გამოცდების წინაშე. მთელს სასკოლო ატმოსფეროს არაფერი აქვს საერთო ბურჟუაზიულ გამოცდებთან, რომლებიც პანიკას იწვევენ ბავშვებში.

არის სკოლები, სადაც ყველა ბავშვი დაშვებულია გამოცდებზე. არის სკოლები, სადაც მე-10 კლასის მოწაფეებს არცერთი შეცდომა არ დაუშვიათ რუსული ენის წერით სამუშაოებში. დუბოვკის სკოლებში (სტალინგრადის ოლქი) რუსულ ენაში მეექვსე კლასის მოწაფეთა გამოცდების შედეგად არცერთი ცუდი ნიშანი არ აღმოჩნდა.

ამ კლასის მასწავლებელი ზინაიდა მიხეილის-ასული გრეჩკინა წამოყენებულია რუსეთის სფს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად.

ამგვარი ფაქტები, — ხოლო ეს ფაქტები ცოტა როდია, — დამაჯერებლად მოწმობენ, რომ საბჭოთა სკოლა მტკიცე და სწორ გზაზე დგას. საშუალო სკოლის მასწავლებელთა მრავალრიცხოვანი არმია უმჯობესდება, წლითიწლობით იძენს პედაგოგიური მუშაობის უდიდეს გამოცდილებას. იზრდებიან ათი და ასი ათასობით ახალგაზრდა პედაგოგები, თავისი საქმის ოსტატები, რომლებმაც იციან თავისი საქმე და უყვართ იგი, მთელი სულით და გულით ემსახურებიან მას. წლითიწლობით იზრდებიან და მრავლდებიან ჩვენი სკოლის წარმატებანი.

მაგრამ ეს წარმატება კიდევ უფრო დიდი იქნებოდა, განსახკომები და სახალხო განათლების ადგილობრივი ორგანოები რომ ჯეროვანად ხელმძღვანელობდნენ სახალხო განათლების საქმეს, მათ რომ ენერგიულად, ბოლშევიკურად აღმოეფხვრათ მავნებლობის შედეგები.

მთელ რიგ განსახკომთა ძველს ხელმძღვანელობაში შემძვრალი ფაშისტი არამზადები, ჯაშუშები და მავნებლები ცოტათი როდი აბრკოლებდნენ სკოლებისა და მასწავლებლების მუშაობას. მტრის ხელი ყოველნაირად აფერხებდა მუშაობას მასწავლებელთა ატესტაციის ხაზით, ხშირად ატესტაცია იქცეოდა წმენდად, მასწავლებლების აბუჩად აგდებად. ყოველნაირად ჰფუშავდნენ მასწავლებელთა გადამზადების, მათი დაუსწრებელი სწავლების საქმეს. ბურჟუაზიული ნაციონალისტები მოკავშირე და ავტონომიურ რესპუბლიკებში ჰფუშავდნენ ბავშვებისათვის რუსული ენის სწავლების საქმეს, რითაც მოძმე რესპუბლიკათა ახალგაზრდა თაობას გზას უხშობდნენ დიდი რუსი ხალხის კულტურის საგანძურისაკენ. რუსულ სკოლებშიც ცოტა ზიანი როდი მიაყენეს რუსული ენის სწავლებას, მოწაფეების მიერ ელემენტარული ცოდნის დაუფლებას. მოსკოვის სკოლებშიც კი, რომელნიც უზრუნველყოფილი არიან ყველაზე კვალიფიციური პედაგოგებით, ცოტა როდია ისეთი მოსწავლე, რომელმაც ცუდად იცის რუსული ენა. ბავშვების არასაკმაო წარმატებაში თავს იჩენს კარგი სახელმძღვანელოების უქონლობაც, პროგრამების აბნეულობაც, სასწავლო გეგმების სიმახინჯეც. მტრის ბუდეები სახალხო განათლების სისტემაში განადგურებულია, შექმნილია ყველა პირობა იმისათვის, რათა უმოკლეს ვადაში აღმოვფხვრათ მავნებლობის შედეგები, მაღალ საფეხურზე ავიყვანოთ ჩვენი საშუალო სკოლა.

მაგრამ მძიმედ და გაჭირვებით ხდება განსახკომების შემობრუნება ახალ გზაზე. საშუალო სკოლა ჯერჯერობით მეტ წილად დაპირებებით ცხოვრობს. რა გააკეთა, მაგალითად, რუსეთის სფს რესპუბლიკის განათლების სახალხო კომისარმა ამხ. ტიურკინმა, რათა სწრაფად გაეშალა მუშაობა მავნებლობის შედეგების ლიკვიდაციისათვის სახალხო განათლებაში? რატომ ყურად არ იღებს რუსეთის სფს რესპუბლიკის განსახკომის ხელმძღვანელობა მოწინავე პედაგოგთა ხმას? იცნობს თუ არა რუსეთის სფს რესპუბლიკის განსახკომი თავის საუკეთესო მასწავლებლებს, ახდენს თუ არა მათი გამოცდილების განზოგადებას, ეწევა თუ არა მის პროპაგანდას, ზრდის თუ არა ამ გამოცდილებაზე მასწავლებელთა მთელ მასას? დააყენა თუ არა ასე თუ ისე განსახკომმა ჩვენი საბჭოთა ბავშვების აღზრდის პრობლემები? მასებისგან, ცხოვრებისგან, საუკეთესო პედაგოგთა გამოცდილებისგან მოწყვეტის ყველაზე ცუდი ტრადიციები, ადამიანთა არცოდნა დღემდე გაბატონებულია რუსეთის სფს რესპუბლიკის განსახკომის მუშაობაში.

ჯერ კიდევ ბევრი ნაკლია ჩვენს სკოლაში, ჯერ კიდევ შორსაა იგი იდეალისაგან. მაგრამ ძირითადი მასში საუცხოოა: ესაა — თვით მოწაფეები, ესაა — მასწავლებელთა უდიდესი უმრავლესობა, ერთგული თავისი საქმისა. კარგად იზრდებიან ჩვენი ბავშვები ჩვენი პარტიის ხელმძღვანელობით, ამხანაგი სტალინის ბრძნული და სიყვარულით აღსავსე მეთვალყურეობით!

შესამოწმებელი გამოცდები საშუალო სკოლაში დაიწყო იმ დღეებში, როცა მთელი ჩვენი ქვეყანა დიდი მღელვარებით, ღრმა ინტერესით კითხულობს და კვლავ კითხულობს ამხანაგი სტალინისა და ამხანაგი მოლოტოვის შესანიშნავ სიტყვებს მოწინავე მეცნიერების შესახებ. ჩვენი მოსწავლეები, განსაკუთრებით კურსდამთავრებულნი, გაცნობილი არიან ამ სიტყვებს. ბედნიერი ახალგაზრდობა! იგი ისმენს მოწოდებას: ისწავლეთ, რათა გაიმარჯვოთ! ისწავლეთ, რათა დაამსხვრიოთ ყოველივე დრომოჭმული, ყოველივე უძრავი და დაუღალავად შეჰქმნათ ახალი სამყარო ბედნიერებისათვის! ისწავლეთ, რათა მთელს კაცობრიობას უჩვენოთ სოციალიზმის ძლიერება, სილამაზე, სიდიადე!

„პრავდის" მოწინავე, 23/V

მ. ს. ბაბუშკინისა და ი. ი. ქუტოვსკის დასაფლავება

მოსკოვი, 22 მაისი (საკდესი). დაახლოებით 40 ათასმა მოსკოველმა დღეს უკანასკნელი პატივი სცა თვითმფრინავ „ნ-212"-ის ავარიის დროს დაღუპულს, საბჭოთა კავშირის გმირს, სსრკ უმაღლესი საბჭოს დეპუტატს მ. ს. ბაბუშკინსა და ინჟინერს ი. ი. ქუტოვსკის. საპატიო ყარაულში იდგნენ საბჭოთა კავშირის გმირები ამხ. შმიდტი, პაპანინი, მოლოკოვი, კრენკელი, ლიაპიდევსკი, სპირინი, სლეპნიოვი, ჩრდილოეთის საზღვაო გზის მთავარსამმართველოს, სამოქალაქო საჰაერო ფლოტის და ავიაქარხნების მუშაკები, განსვენებულთა მეგობრები და ნათესავები.

საღამოს 5 საათზე სწყდება დარბაზში შესვლა.

განსვენებული მფრინავის მეგობრებს აბრეშუმის ბალიშებით გამოაქვთ მისი ორდენები. გრძელ მწკრივად მისცურავენ გვირგვინები. ამხ. შმიდტი, პაპანინი, მოლოკოვი, ლიაპიდევსკი, სპირინი და სხვები ასწევენ ურნებს და მათთან ერთად გამოდიან წითელ მოედანზე. აქედან სამგლოვიარო პროცესია, რომელსაც თან ახლავს სამხედრო ესკორტი, დედაქალაქის ქუჩებით მიემართება ნოვო-დევიჩის სასაფლაოსაკენ.

ათეული ათასობით მოსკოველები მიაცილებენ დაღუპულთ მათს უკანასკნელ გზაზე. სამგლოვიარო პროცესია რამდენიმე უბანზეა გაჭიმული.

სასაფლაოზე იხსნება სამგლოვიარო მიტინგი. ო. ი. შმიდტი ამბობს სიტყვას მ. ს. ბაბუშკინისა და ი. ი. ქუტოვსკის ცხოვრებისა და მუშაობის შესახებ.

— ორმა შესანიშნავმა ადამიანმა, რომელთაც ჩვენ ახლა ვასაფლავებთ, ცოტა შრომა და ძალღონე როდი მოახმარა სსრ კავშირის ხალხთა ბედნიერებისათვის ბრძოლას, — სთქვა ამხ. შმიდტმა.—მიხეილ სერგეის-ძე ბაბუშკინი მშრომელი ხალხის შვილია. ის, უძველესი მფრინავი, პატიოსანი და პირდაპირი ადამიანი იყო, მას არავითარი სიძნელის არ ეშინოდა. ეს საბჭოთა პატრიოტის მაგალითია. ინჟინერი ქუტოვსკიც სისხლჩარბი სიცოცხლით ცხოვრობდა და ბოლომდე ერთგული იყო სამშობლოსი. განვაგრძოთ მათი საქმე, მათსავით ვიმუშაოთ და გვიყვარდეს ჩვენი ქვეყანა. ეს საუკეთესო ძეგლი იქნება საბრძოლო პოსტზე დაღუპულთათვის.

გულთბილი სიტყვებით გამოვიდნენ საბჭოთა კავშირის გმირი ამხ. მ. ტ. სლეპნიოვი, სერგო ორჯონიკიძის სახელობის ქარხნის წარმომადგენელი ამხ. ვ. ი. ბონდარენკო და კომის ასსრ წარმომადგენელი ამხ. ი. ი. ოპლესნინი (მ. ს. ბაბუშკინი იყო სსრკ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი კომის ასს რესპუბლიკიდან).

მიტინგი დამთავრებულია, დაბლა იხრებიან შავი ძაძით მოსილი დროშები. იფრქვევა სამგლოვიარო მარშის მელოდია. ურნებს დგამენ ნიშებში. მათ ჰხურავენ მარმარილოს ფირფიტებით, რომლებზედაც გამოკვეთილია დაღუპულთა გვარები. ჰქუხს „ინტერნაციონალი". გაისმის თოფების სამჯერადი სროლა.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატები

ამხ. კონსტანტინე ფილიპეს-ძე რეკვავა

ფოთის ნავსადგურის მუშებში ნდობით და სიყვარულით სარგებლობს ლენინურ კომკავშირში დავაჟკაცებული და პარტიის რიგებში აღზრდილი ახალგაზრდა ინჟინერი **ამხ. კონსტანტინე ფილიპეს-ძე რეკვავა.** მისი კანდიდატურა დასახელებულია საქართველოს სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობაზე.

ამხ. კ. რეკვავა დაიბადა 1910 წელს ქ. ტუაფსეში, მოსამსახურის ოჯახში. კოტე ძუძუმწოვარა ბავშვი იყო, როცა მამა გარდაეცვალა. უმწეო მდგომარეობაში ჩავარდნილმა დედამ ის სამეგრელოში ჩამოიყვანა. აქ ის საცხოვრებლად ქ. ფოთში მოეწყო. პირველდაწყებითი სწავლა და საშუალო განათლება კოტემ აქ მიიღო.

1926 წელს იგი შედის ლენინურ კომკავშირში, სადაც ის მალე იჩენს აქტიობას და ენერგიულად ასრულებს ყველა საზოგადოებრივ დავალებას. ფოთის ინდუსტრიალური სასწავლებლის წარმატებით დამთავრებისთანავე კოტე მიემგზავრება თბილისში და გემთშემკეთებელ ტექნიკოსად მუშაობს ამიერკავკასიის მდინარეთა ტრანსპორტის სამმართველოში.

1933 წელს, მას როგორც ნიჭიერ და ენერგიულ მუშაკს, უმაღლესი ცოდნის მისაღებად გზავნიან ლენინგრადში საზღვაო - საინჟინერო ინსტიტუტში, რასაც ის 1937 წელს ფრიადზე ამთავრებს და საქართველოში ბრუნდება. ახალგაზრდა სპეციალისტი პირველ ხანებში ფოთის ნავსადგურში მუშაობს მექანიზაციის უფროსად. აქ ის დაუცხრომლად იბრძვის მავნებლობის შედეგების მოსასპობად და დიდ მუშაობას ატარებს ნავსადგურის მექანიზაციის უკეთ მოსაწყობად. ამავე დროს აქტიურად არის ჩაბმული აგრეთვე პარტიულ საზოგადოებრივ მუშაობაშიაც.

ამხ. რეკვავა საკ. კ. პ. (ბ) რიგებში ირიცხება 1932 წლიდან. როგორც ნიჭიერი, ფხიზელი და საუკეთესო სპეციალისტი ამჟამად ის დაწინაურებულია ფოთის ნავსადგურის უფროსად. (საქდესი).

ამხ. ნინო ივანეს-ასული გიგაური-ჩარკვიანი

ნინო ივანეს-ასული გიგაური-ჩარკვიანი დაიბადა 1900 წ. ქ. თბილისში. მისი მამა იყო ა.-კ.-ის რკინიგზის მთავარ სახელოსნოს ზეინკალი, დედა კი—მკერავი.

ამხ. გიგაურმა-ჩარკვიანმა განათლება მიიღო თბილისში. 1916 წ. მან დაამთავრა საქალაქო სასწავლებელი, ხოლო 1919 წელს — სამასწავლებლო სემინარია. უკვე საბჭოთა ხელისუფლების დროს—1932 წელს ნინო ივანეს-ასულმა დაამთავრა სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი.

შრომითი ცხოვრებას ნ. ი. გიგაური-ჩარკვიანი შეუდგა 1919 წელს.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ამხ. გიგაური-ჩარკვიანი მუშაობდა პირველად ამიერკავკასიის რკინიგზის სალიანდაგო დარგის სამმართველოში, ხოლო შემდეგ 1926 წლიდან მას მთელი რიგი პასუხსაგები თანამდებობები ეკავა პარტიულს და პროფესიულ ორგანიზაციებში.

1933 წლიდან 1934 წლამდე ამხ. გიგაური-ჩარკვიანი მუშაობდა საგარეჯოს მტს პოლიტგანყოფილების უფროსის თანაშემწედ ქალთა შორის მუშაობის დარგში და 1934 წლიდან 1935 წლამდე — საქართველოს მიწსახკომის მტს პოლიტსექტორის უფროსის თანაშემწედ.

1935 წლიდან 1936 წლამდე ამხ. გიგაური-ჩარკვიანი მუშაობს საქართველოს ალკკ ც. კ-ის პიონერ განყოფილების გამგედ. 1936 წელს იგი გადადის სამუშაოდ საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის ხელმძღვანელ პარტიულ ორგანოთა განყოფილების ინსტრუქტორის თანამდებობაზე. ამჟამად ამხ. გიგაური-ჩარკვიანი მუშაობს საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის სასოფლო-სამეურნეო განყოფილების გამგის მოადგილედ და რედაქტორობს ჟურნალ „მშრომელ ქალს“.

ამხ. გიგაური-ჩარკვიანი პარტიის წევრია 1927 წლიდან, იგი არაერთხელ ყოფილა არჩეული ხელმძღვანელი პარტიული ორგანოების შემადგენლობაში; საქართველოს კ. პ. (ბ) მე-10 ყრილობაზე ის არჩეულ იქნა საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის სარევიზიო კომისიის წევრად.

ხაშმის № 89 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიამ ამხ. გიგაური-ჩარკვიანი რეგისტრაციაში გაატარა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად (საქდესი).

ამხ. მიხეილ მიხეილის-ძე მაისურაძე

მიხეილ მიხეილის-ძე მაისურაძე დაიბადა 1897 წელს გლეხის ოჯახში.

დაამთავრა რა 1911 წელს ორკლასიანი სკოლა თბილისში, ამხ. მაისურაძე შედის მოწაფედ აგაბაბოვის მექანიკურ სახელოსნოში. 1914 წელს იგი გადადის შოფერის თანაშემწის სამუშაოზე, ხოლო 1916 წელს მას ჯარში იწვევენ და შოფერად მუშაობს ერზერუმის რკინიგზის სამმართველოში.

1921 წელს ამხ. მაისურაძე მოხალისედ შედის წითელ არმიაში. წითელ არმიაში მან 1922 წლამდე დაჰყო. საბრძოლო დამსახურებისათვის ამხ. მაისურაძე დაჯილდოებულია რევოლუციური სამხედრო საბჭოს სიგელით.

დემობილიზაციის შემდეგ ამხ. მაისურაძე ორი წლის განმავლობაში სხვადასხვა საწარმოში მუშაობდა, ხოლო 1924 წელს „ზაკავტოპრომტორგში“ შევიდა, სადაც შოფრად მუშაობდა 1926 წლამდე.

1925 წელს ამხ. მაისურაძე შევიდა საკ. კ. პ. (ბ) რიგებში.

1927 წელს იგი ინიშნება „ზაკავტოპრომტორგის“ გარაჟის გამგედ, ხოლო 1928 წელს — მის თბილისის განყოფილების მმართველად.

1930 წელს ამხ. მაისურაძე გაიგზავნა ლენინგრადს სატრანსპორტო აკადემიასთან არსებულ სამეურნეო მუშაკთა კურსებზე.

ჭიათურა

ამხ. ვ. გ. ტეფნაძის კანდიდატურა რეგისტრირებულია

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების ჭიათურის რაიონის არგვეთის № 123 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიამ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობაზე კენჭისსაყრელად რეგისტრაციაში გაატარა ვლადიმერ გიორგის-ძე ტეფნაძე, დაბადებული 1905 წელს, საკ. კ. პ. (ბ) წევრი, ჭიათურის რაიონის მცხოვრები, რომელიც მუშაობს ამხ. კაგანოვიჩის სახელობის მაღაროებში (საქდესი).

ამხ. მარიამ ფრიდონის-ასული ჩადუნელი

მ. ფ. ჩადუნელი დაიბადა 1902 წელს, გორის ყოფილ მაზრის სოფელ სამთავისში, მიწისმუშა გლეხის ოჯახში.

1928-დან 1936 წლამდე მარიამ ფრიდონის-ასული მუშაობს კოლმეურნეობა „გლეხის იმედის“ ბრიგადირად სოფელ იგოეთში.

ამხ. ჩადუნელი, როგორც აქტიური და მოწინავე მუშაკი, 1936 წელს დაწინაურებულ იქნა კოლმეურნეობის თავმჯდომარედ.

თავის პირდაპირ მოვალეობათა სანიმუშოდ შესრულებასთან ერთად, ამხ. ჩადუნელი დიდ საზოგადოებრივ მუშაობას ეწევა.

1924 წლიდან დღემდე იგი უცვლელად არის სასოფლო საბჭოს და რაიაღმასკომის წევრი.

ამხ. ჩადუნელი, როგორც მოწინავე სტახანოველი, არჩეულ იქნა ამიერკავკასიის მე-6 მოწვევის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის წევრად.

ამხ. ჩადუნელი დიდი პოპულარობით და სიყვარულით სარგებლობს როგორც თავისი კოლმეურნეობის, ისე მთელი რაიონის მშრომელთა შორის. (საქდესი).

ამხ. იონა მიხეილის-ძე ფესტვენიძე

სოფ. გეგუთის მშრომელებმა ერთსულოვნად წამოაყენეს საქ. სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად მილიონერი კოლმეურნეობის „წინსვლის“ თავმჯდომარე ამხ. ფესტვენიძე.

ამხ. იონა დაიბადა 1891 წელს სოფ. ზედა გეგუთში, უღარიბესი გლეხის ოჯახში. უსახსრობის გამო იონა გამოიყვანეს დაწყებითი სკოლის II კლასიდან და მოჯამაგირედ დააყენეს მემამულე ანანოვთან.

1920 წელს იონა წინააღმდეგობას უწევს მენშევიკურ მთავრობას. 1924 წელს იგი იარაღით ხელში იბრძვის აგვისტოს მენშევიკურ ავანტურის წინააღმდეგ სოფ. პატრიკეთში.

1929 წელს იონამ პირველმა ჩამოაყალიბა გეგუთში კოლმეურნეობა „წინსვლა“, რომლის თავმჯდომარედ თვითონ იონა აირჩიეს.

1935 წელს ამხ. ფესტვენიძეს ირჩევენ დამკვრელი კოლმეურნეთა საკავშირო ყრილობის დელეგატად. ის დაჯილდოვებულია ა.-კ-ს და საქართველოს ცაკის სიგელით და მისი კოლმეურნეობა შეტანილია მოწინავე კოლმეურნეობათა საპატიო დაფაზე.



„იგორის ლაშქრობის ამბის“ ილუსტრაცია, პალეხის ოსტატ ივანე გოლიკოვის ნამუშევარი. რეპროდუქცია „სოიუზფოტოსი“

„ამბავი იგორის ლაშქრობისა“

იგორის სალაშქროდ გასვლა*)

ბუკთა ყიჟინი სდგას ნოვგოროდში
და პუტივლს სჩანან დროშები შლილი.
იგორი ელის უსაყვარლესსა,
უსიამესსა ძმას ვსევოლოდსა.

და ვსევოლოდი უტეხი ხარი
ეტყოდა· იგორს: ერთა ძმა მყავხარ,
ერთი ბარჩხალა ნათელი მყავხარ
შენ, ძმაო იგორ, და ჩვენ ორივე
ვართ მემკვიდრენი სვიატოსლავისა.
დარახტე, ძმაო, შენი ჩაუქი
ბედაურები, ჩემი მზად დგანან
კურსკის წინაშე დარახტულები;
გაგეგონება ჩემი კურსკელნი,
რომ მომახული რაინდებია.
ბუკთა ყიჟინში გამორანდულან,
ჩაჩქანთ ყლარუნში ნებივრებულან,
შუბის წვერზედა აცმული კერძით
გამოკვებილან, იცნობენ გზებსა
და ორწოხებზე უნავარდნიათ.
მათი შვილდები მოჭიმულია.,
კაპარჭებია პირგადახსნილი,
და მათი ხმლები მოკისკასეა,
თვითონ მიჭრიან გაშლილ მინდორზე,
თითქო არიან ყომრალი მგლები:
რომ აღიმაღლონ თავად ღირსება
და მოუხვეჭონ მთავარს სახელი.

მაშინვე შედგა მთავარი იგორ
ოქროს უზანგზე და გაეშურა
ტრიალ მინდორზე. მზემან წყვდიადით
სამოგზაურო გზა დაუბნელა;
ღამემ ფრინველნი ქარიშხლის გმინვით
გამოაღვიძა და ღამის სტვენამ
ირგვლივ მხეცების ჯოგი შეჰყარა.
ხის სიმაღლიდან აჯალი კივის,
ბრძანებს უსმინონ: ვერანმა მიწამ,
ვოლგის, ზღვისა და სულას ნაპირმა.
ქალაქ სუროჟმა, ქალაქ ქორსუნმა

და შენც ფიტულო თმუთარაყანის.
ხოლო ყივჩაღნი უსიერ გზებით,
უკვე მორბიან დიად დონისკენ;
მათი ფორნებიც ღამით ყივიან
როგორც დამფრთხალი გედების გუნდი.
იგორს დონისკენ ლაშქარი მიჰყავს
და ფათერაკი მისი მხლებელი
ფრინველებს მწყემსობს მუხებსა ზედა.
მგლები ორწოხებს ჭექა-ქუხილის
მოსვლას ამცნობენ და არწივები
მხეცებს იწვევენ ძვლებზე ყივილით.
მელაც შეჰკივის მეწამულ ფარებს.

ჰოი, შენ რუსთა მიწავ, — მამულო
მთების გადაღმა ხარ დარჩენილი!

დიდხანს გასტანა ღამის წყვდიადმა,
რიჟრაჟის შუქიც გადაკარგულა,
მრუმემ დაჰფარა დიდი მინდორი,
ბულბულის სტვენაც მირულებულა,
ჭილყვავის განგაში გამოღვიძა.
ვრცელი მინდორი წითელ ფარებით
წინ გადაღობა რუსთა ლაშქარმა,
რომ დაიმკვიდროს ომში გმირობა
და მოუხვეჭოს მთავარს სახელი.

დილა ადრიან პარასკევ დღესა
მათ გადათელეს ბილწი ლაშქარი,
და ისრებივით ტრიალ მინდორზე
გაფანტულებმა თან გააქროლეს
ქალნი ლამაზნი ყივჩაღებისა;
ქალებთან ერთად მათ გაიტაცეს
ოქრო, ოქსინო და სხვა ქსოვილნი.
ტანსაბურავი, ჯუბა და ქურქი
და ყივჩაღური ნაყშიანები
გადააფინეს ხიდეებივით,
ჭაობებსა და ჭანჭრობ ადგილებს.

ყირმიზი დროშა, თეთრი ბავრაყი,
ვერცხლის ჭოკი და ყირმიზი თული
ერგო გულად ძეს სვიატოსლავისას.

რულავს მინდორში მამაცი ბუდე
ოლეგის მოდგმა. ძალზე შესტოპეს!
არა შობილან ისინი ქვეყნად
დასამცირებლად, არც შავარდნისთვის
არც სონღულისთვის და აღარც შენთვის
ყივჩაღთა ბილწო, შავო ყორანო.

გზაყი გამორბის ლეგა მგელივით
ყონჩალიც გზაყსა წამოყოლია
და გზას უკაფავს დიად დონისკენ.

მეორე დღესვე, სისხამი დილით,
მეწამულ ფერის ცის დაფიონი
ლაშქარს აუწყებს რიჟრაჟის მოსვლას.
შავი ღრუბლები მოდიან ზღვიდან,
უნდათ დაფარონ ოთხი მზის შუქი
ღრუბლებში თრთიან ლურჯი ელვები,
ალბათ იქნება დიდი ქუხილი,
წამოვა წვიმა ისრების გვარად
დიად დონიდან გადმოტყორცნილი
აქვე შუბები გადატყდებიან,
კისკასა ხმლებიც დაიჭდებიან,
ყივჩაღთა ლაშქრის მუზარადებზე
კაიალაზე, დიად დონთანა.

ჰოი, შენ რუსთა მიწავ-მამულო,
მთების გადაღმა ხარ დარჩენილი!

აი ქარებიც, სტრიბოგის მოდგმა.
ზღვიდან მსრბოლავი ისრების გვარად
იგორის გულად ლაშქარს ატყდება.
მიწა გუგუნებს, დიან მღვრიენი
მდინარენი და ბდღვირმა დაფარა
ვრცელი მინდორი, თითქო ღმუიან
დროშები ქარში: უკვე ყივჩაღნი
მოდიან ზღვიდან, დიად დონიდან,
ყოველის მხრიდან გარს შემოერტყენ
რუსების ლაშქარს. ქაჯების მოდგმა
საზარ ყიჟინით გადმოიგრაგნა
გაშლილ მინდორზე, ხოლო რუსები
შეუდრეკელნი, წითელ ფარებით
გადაეღობენ ყივჩაღთა ლაშქარს.

შენ, ვსევოლოდო, ფიცხელი ხარო
სდგეხარ ბრძოლაში და სეტყვასავით
ისრებსა სტყორცნი მტრის მოლაშქრეებს;
ჯევარდენ მახვილს შენ ამჭექარებ
ყივჩაღთა ლაშქრის მუზარადებზე.
სადაც იელვებ ოქროს ჩაფხუტით,
ხარო მქროლავო, იქ ყრია, ყრია
ბილწი თავები ყივჩაღებისა.
დაგიჩეხია შენ ჩაფხუტები
ავარიული, ხარო ველურო,
ავარვარებულ ხმალის კისკასით.

რაა მოუმენო, მისთვის ჭრილობა
ვინც დაივიწყა უკვე სიცოცხლე,
თავის ღირსება და ჩერნიგოვი,
მამისეული ტახტი ოქროსი,
ან სასურველი თავის მეუღლე
ულამაზესი გლების ასული,
მისი ტრფობა და მისი ალერსი.

იყო დროება ტროიანისა,
წარვიდნენ წლებიც იაროსლავისა
იყო ლაშქრობაც წინათ ოლეგის
ოლეგის, ძისა სვიატოსლავისა.
იგი ოლეგი მკვეთრი მახვილით,
შფოთსა და ამბოხს ჩვენში ნერგავდა
და ისრებს თესდა რუსულ მიწაზე.
ოქროს უზანგზე ულერით დგებოდა
ოლეგი ქალაქ თმუთარაყანში
და მაშინდელი მისი ულერანი
ესმოდა დიად იაროსლავისა
ძესა ვსევოლოდს, ხოლო ვლადიმერ
ჩერნიგოვს მყოფი, ყოველ დილაზე,
ყურებს იხშობდა გაჯავრებული.

შემდეგ ბორისი ძე ვიაჩესლავის,
საომარ ხოტბით წაქეზებული,
თვით წარემართა ღვთის სამჯავროში.
მებრძოლს ოლეგის ღირსებისათვის,
შეუდრეკელსა, ახოვან მთავარს,
კაიალასთან მწვანე ველობი
ქვეშ გაუფინეს როგორც სუდარა.
ამ კაიალით თვით სვიატოპოლკმაც
თვისი სიმამრი ხომ წაასვენა
უგორიელთა იორღებს ზედან
კიევის წმინდა სოფიოს ტაძარს.

მაშინ ვარამი ოლეგის დროში
დათესილიყო და იზრდებოდა
შფოთი, ამბოხი, ნადგურდებოდა
დაბოგის მოდგმის დოვლათი ქვეყნად.
მთავართა შფოთში ხალხის სიცოცხლე
მოკლდებოდა და იკვეცებოდა.
მაშინ პოხიერ რუსულ მიწაზე
გუთნისდედები ერთი მეორეს
იშვიათად თუ გადასძახოდენ.
მხოლოდ ყორნები ხშირად ჩხაოდნენ
და ერთმანეთში იყოფდენ ლეშებს,
ჭილყვავნიც თავის ბაას იწყებდნენ
რადგან უნდოდათ კერძთან მიფრენა.
ასე ხდებოდა მაშინდელ ომში
და ლაშქრობაში, მაგრამ ამგვარი
ლაშქრობა ქვეყნად არ გაგონილა.

გარიჟრაჟიდან სალამომდისინ
და სალამოდან ალიონამდის
ქროდენ ისრები მოვარვარენი,
ჩახაჩუხობდნენ ჩაფხუტებზედან
ხმლები კისკასა და ჯავარდნულსა
შუბებს გაჰქონდათ ბნელი ჩხრიალი
ყივჩაღთა მიწის უდაბურ ველზე.
ბედაურების ტორებით ხნული
იყო ყამირი ძვლით მოთესილი,
იყო ყამირი სისხლით მორწყმული,
და ყოველივე ვარამის გვარად
აისდებოდა რუსულ მიწაზე.
რა ჩამშრიალებს, რა ჩამღერუნებს
მე შორეულად ასე ადრიან
ალიონის წინ? ეს იგორია
ლტოლვილ მეომრებს იგი აბრუნებს
მას ებრალება უსაყვარლესი,
და უამესი ძმა ვსევოლოდი.
ერთ დღეს იომეს, მეორე დღესაც
და მესამე დღეს ჟამსა შვადღისას,
დაბლა დაეშვა დროშა იგორის;
ჩქარ კაიალას მდინარის პირად
ძმები განშორდნენ ერთი მეორეს.
სისხლიან ღვინომ აღარ იკმარა
და დაასრულეს მედგარ რუსებმა
ლხინი დიადი, თვისი მზახლებიც
დაათვრეს, მოკვდენ რუსულ მიწისთვის
ბალახი ჭკნება საცოდაობით
ხეც კაეშანით მიწას დაემხო.

თარგმნილი ძველ რუსულიდან
სიმონ ჩიქოვანისა

---

*) ნაწყვეტი პოემიდან

პროფ. ს. დანელია

„ამბავი იგორის ლაშქრობისა“

1.

ერთი წელიწადიც არ შესრულებულა მას შემდეგ, რაც საბჭოთა ქვეყნის ყველა ხალხებმა დიდი ზეიმით გადაიხადეს ქართული პოეზიის უბრწყინვალესი ქმნილების („ვეფხის-ტყაოსნის“) 750 წლის იუბილე. დღეს კი ეს ხალხები იხდიან საშუალო საუკუნეების რუსეთის უდიდესი პოეტური ნაწარმოების 750 წლის იუბილეს; ეს ნაწარმოებია „ამბავი იგორის ლაშქრობისა“.

დიდია ამ პოეტური ნაწარმოების ისტორიული მნიშვნელობა. დასავლეთ ევროპის ხალხთა პოეზიიდან მას შეიძლება შეადარონ მხოლოდ ისეთი პირველხარისხოვანი ქმნილებები, როგორიც არიან ფრანგეთის „სიმღერა როლანდზე“ ან გერმანელთა „სიმღერა ნიბელუნგებზე“. როგორც თავისი შინაარსით, ისე თავისი ფორმითაც „ამბავი იგორის ლაშქრობისა“ ეპიკური ხასიათის ნაწარმოებია და, თანამედროვე ტერმინოლოგიის თანახმად, მას შეიძლება პოემა ეწოდოს.

ყველა მოცემული ნიშნების მიხედვით დღეს დადგინებულად უნდა ჩაითვალოს, რომ „ამბავი იგორის ლაშქრობისა“ უეჭველად მე-12 საუკუნეში იყო დაწერილი. რაც შეეხება საკითხს, თუ ვინ იყო ამ სასტორიო პოეტური ქმნილების დამწერი, აქ მარტო ის შეიძლება ითქვას, რომ პოემის ავტორი ალბათ ძველი რუსეთის უმაღლეს საზოგადოებრივ წრეს ეკუთვნოდა და თავისი ეპოქის მიხედვით იყო ფრიად განათლებული პიროვნება: იცნობდა კარგად არა მარტო რუსულ მწერლობას, არამედ, შესაძლებელია, უცხოეთის ლიტერატურასაც, და, როგორც დიდი ნიჭისა და დაკვირვების უნარით დაჯილდოებული ადამიანი, მშვენიერად ერკვეოდა თავისი დროის რუსეთის პოლიტიკურ მდგომარეობაში. არც სახელი და გვარი, არც ბიოგრაფიული ხასიათის სხვა ცნობები „იგორის ლაშქრობის“ დამწერ პოეტის შესახებ დღეს ჩვენ არ მოგვეპოვება, რაც, ცხადია, დიდ დანაკლისად უნდა ჩაითვალოს თვით ამ პოეტური ნაწარმოების სწორი გაგებისა და მისი მთავარი აზრების შეფასების მიზნისათვის.

მეთორმეტე საუკუნის რუსეთი, სადაც ცხოვრობდა და მოღვაწეობდა „იგორის ლაშქრობის“ ავტორი, უმთავრესი თავისი ნაწილით მდინარე დნეპრისა და მისი შენაკადების ნაპირებზე მდებარეობდა. 862 წელს პირველად ჩამოყალიბებული სახელმწიფო რუსეთისა მეთერთმეტე საუკუნის მეორე ნახევრიდან პოლიტიკურ დაქსაქსვას განიცდიდა. რუსეთი დაყოფილი იყო მრავალ სამთავროებად, რომელთა მმართველი მთავრები საერთო მათი წინაპრის, რუსეთის პირველი მთავრის, რიურიკის, შთამომავლობას წარმოადგენდნენ და, მაშასადამე, გვაროვნული კავშირით იყვნენ ურთიერთშორის შეკრული. თავისთავად ცხადია, რომ გვაროვნული კავშირი მთავართა შორის არ იყო საკმაოდ მტკიცე საფუძველი სახელმწიფოს პოლიტიკური მთლიანობის უზრუნველსაყოფად, და აქედან გასაგებია ის დაუსრულებელი აყალ-მაყალი და შფოთი, რომელიც იმდროინდელ რუსეთში მძვინვარებდა. პოლიტიკურად ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი და ეკონომიურად დაწინაურებული სამთავრო იყო კიევის სამთავრო, რადგან კიევი წარმოადგენდა იმ დიდი სანაოსნო სავაჭრო გზის ცენტრს, რომელიც მიემართებოდა ბალტიის ზღვიდან შავი ზღვისაკენ და კომერციულად აკავშირებდა ჩრდილოეთ-დასავლეთ ევროპას წინა-აზიის ხალხებთან.

კულტურული დონე კიევის დროის რუსეთისა ბევრად არ ჩამოუვარდებოდა დასავლეთ ევროპისას — განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც რუსეთმა 988 წელს ბიზანტიიდან მიიღო ქრისტიანობა და ამით დაუკავშირდა ბერძნებს, რომლებიც თავისი სწავლა-განათლებით მე-10—მე-12 საუკუნეებში უფრო მაღლა იდგნენ, ვიდრე იმდროინდელი დასავლეთ ევროპის ხალხები (ინგლისელები, ფრანგები, გერმანელები). ბიზანტიიდან ბალკანეთის სლავური ხალხების (ბულგარელებისა და სერბიელების) მეშვეობით უხვად შემოდიოდა ძველს რუსეთში სხვადასხვა ხასიათის თხზულებები. ეს თხზულებები მეტწილად სასულიერო შინაარსისა იყო, მაგრამ მათ შორის იყო საერო ხასიათის ნაწარმოებებიც. ასეთი საერო ნაწარმოები იყო, მაგალითად, „დიგენისის ამბავი“, რომელიც სამხედრო ნოველას წარმოადგენს და თავისი გმირების რაინდულ თავგადასავალს აგვიწერს. რუსეთის მოსახლეობის უმრავლესობა, ცხადია ამ ნოველისტური ლიტერატურით უშუალოდ ვერ ისარგებლებდა, რადგან მან წერა-კითხვაც არ იცოდა—მაგრამ თავისი მომხმარებლები ამ საერო ნოველისტურ ლიტერატურას მაინც ჰყავდა: მის მომხმარებელს წარმოადგენდა უწინარეს ყოვლისა ის სამხედრო წრე, რომელიც მთავრების გარშემო იყრიდა თავს. თავისი კულტურული მოთხოვნილებებით ეს წრე სრულიად არ ჩამოუვარდებოდა დასავლეთ ევროპის რაინდთა წრეს, სადაც წარმოიშვენ „სიმღერა როლანდზე“ და „ნიბელუნგები“. „იგორის ლაშქრობის ამბავიც“ სწორედ ამ სამხედრო წრეში არის გაჩენილი, ვინაიდან ამას ამტკიცებს მისი შინაარსი და ფორმა.

ზემონათქვამიდან სჩანს, რომ კიევის დროის რუსეთი კარგად განვითარებული, კულტურული ქვეყანა იყო,—რა თქმა უნდა, თავისი ეპოქის მიხედვით. კიდევ უფრო წინ იქნებოდა ის წაწეული, რომ მთავრებს შორის ურთიერთ კინკლაობას არ ჰქონოდა ადგილი. ამ კინკლაობით სარგებლობდნენ გარეშე მტრები, ხშირად ესხმოდნენ თავს რუსეთს და არბევდნენ მის მოსახლეობას.

რუსეთის ეს გარეშე მტრები იყვნენ იმ დროს აზიის შუაგულიდან გამოსული მომთაბარე ტომები, რომლებსაც ეჭირათ რუსეთის სამხრეთ - აღმოსავლეთით მდებარე თვალუწვდენელი ველები. X საუკუნიდან არ წყდება რუსეთის მატიანეთა გოდება ამ შფოთიანი მეზობლების თავდასხმების გამო. ჯერ პაჭანიკები არ აძლევდნენ რუს ხალხს მოსვენებას. შემდეგ, XI საუკუნის მეორე ნახევარში, გამოჩნდნენ ყივჩაღები, რომლებიც თავის წინამორბედ პაჭანიკებზე უფრო სახიფათო მტრები შეიქნენ. კარგი ცხენოსნები და მშვილდოსნები, ისინი მოულოდნელად შეიჭრებოდნენ ხოლმე რუსეთის საზღვრებში, აიკლებდნენ არე-მარეს, ხოცავდნენ და ძარცვავდნენ ხალხს, იტაცებდნენ ქალებს და კაცებს, რათა მონებად გაეყიდნათ ისინი შუააზიაში. ყივჩაღების მეზობლობა რუსეთისათვის მით უფრო საზიანო შეიქნა, რომ ყივჩაღებს ეჭირათ დონისა და დონეცის სანაპიროები და ამის გამო რუსეთს მოჭრილი ჰქონდა გზა აზოვის ზღვისაკენ. ამ ყივჩაღების განდევნა და მათი თარეშისაგან თავის დაღწევა ისტორიულ გამოცანად იქცა XI—XII საუკ. რუსეთისათვის. მრავალჯერ მოუწყვიათ რუსეთის მთავრებს ბრწყინვალე გამარჯვებით დამთავრებული სამხედრო ექსპედიცია ყივჩაღების წინააღმდეგ, მაგრამ სრული განთავისუფლება მათი მეზობლობისაგან მაინც ვერ მოხერხდა.

ერთი ასეთი სამხედრო ექსპედიციის ბედი აღწერილია რუსეთის მატიანეში 1.185 წლის თარიღით. ექსპედიციის მეთაურები იყვნენ ნოვგოროდ-სევერსკის მთავარი იგორი, მისი ძმა ვსევოლოდი, მისივე შვილი ვლადიმირი და ძმისწული სვიატოსლავი. რუსების ჯარი ძალიან ღრმად შეიჭრა ყივჩაღთა ველებში, ამით დაშორდა რუსეთის საზღვრებს და მოსწყდა თავის ბაზას. პირველი შეტაკებისას ყივჩაღებთან გამარჯვება მაინც იგორის ჯარს ერგო: რუსებმა დაამარცხეს ყივჩაღები და ბევრი ტყვე ჩაიგდეს ხელში. მაგრამ ყივჩაღებმა მალე შესძლეს უამრავი ძალის შეკრება და მიესიენ რუსებს. გაიმართა ცხარე ბრძოლა, რომელიც ორ დღეს გაგრძელდა და იგორის ჯარის საშინელი დამარცხებით დასრულდა: ერთი მიზეზი ამ დამარცხებისა ის იყო, რომ რუსების ჯარს თან ახლდა მომთაბარე კოვუების დამხმარე რაზმი, რომელმაც ვერ გაუძლო ყივჩაღების შეტევას, უკუიქცა და დაარღვია იგორის ჯარის წყობა. უამრავი რუსი მეომარი გაწყდა, ბევრი ჩაუვარდა ყივჩაღებს ტყვედ. ამ დატყვევებულთა შორის მოხვდნენ მთავრებიც. რამდენიმე ხნის შემდეგ იგორმა მოახერხა ტყვეობიდან გამოქცევა. მალე მისი შვილი ვლადიმირიც დაბრუნდა რუსეთში.

2.

ეს ისტორიული ეპიზოდი, რომელიც მოთხრობილია რუსულ მატიანეებში, შეადგენს „იგორის ლაშქრობის“ საგანს. მაგრამ ის, რაც მატიანეში გადმოცემულია სადა, პროზაული ენით და თვალსაჩინო ლოგიკური თანმიმდევრობის დაცვით, „ამბავში“ მაღალი ღირსების მხატვრული ფორმით არის შემოსილი. მთელი ნაწარმოები გაჟღენთილია აღელვებული ტონით და ეპიკურ თხრობას ხშირად სწყვეტს ხოლმე პოეტის ლირიზმი.

პოემაში შეიძლება გამოიყოს სამი მთავარი გმირი, რომლებიც მის ცენტრალურ ფიგურებს წარმოადგენენ და ერთმანეთთანაც დაკავშირებული არიან. ესენია ნოვგოროდ-სევერსკის მთავარი იგორი სვიატოსლავის-ძე, კიევის დიდი მთავარი სვიატოსლავი ვსევოლოდის-ძე და იგორის მეუღლე იაროსლავნა, გალიციის ძლევამოსილი მთავრის იაროსლავის ასული. უდიდესი სიყვარულით ახასიათებს პოეტი ყველა ამ გმირებს. ნოვგოროდ-სევერსკის მთავარი იგორი წარმოდგენილია, როგორც უებრო რაინდი, მამაცი, პირდაპირი, მტრების მიმართ შეუპოვარი, თავისი მხედრებისადმი კი უსაზღვრო სიყვარულით აღსავსე და გულჩვილი ადამიანი, ამავე დროს ჭკვიანი და გამჭრიახი სარდალი და ძალიან მოხერხებული პიროვნება.

იგორზე ნაკლები სიმპატიით არ ეკიდება პოემა კიევის დიდი მთავრის, სვიატოსლავის პიროვნებას. (ეს სვიატოსლავი იგორის შორეული ნათესავია). მაგრამ სვიატოსლავი დახასიათებულია პოემაში მხოლოდ იმ სიტყვებით, რომლებითაც მიმართავს იგი რუსეთის მთავრებს, რათა მათ შესწყვიტონ ურთიერთშორის შური და გაერთიანებული ძალით შეუტიონ ყივჩაღებს. სვიატოსლავი ნაწილობრივ იგორის კონტრასტს წარმოადგენს. იგორი ჯერ კიდევ ახალგაზრდა ენთუზიასტია და გატაცებებისაგან არ არის თავისუფალი. რაც შეეხება სვიატოსლავს, ის წარმოდგენილია პოემაში როგორც უკვე დადინჯებული და ასაკის სიბრძნით აღჭურვილი ადამიანი. სვიატოსლავი დიდი პატრიოტია: მან მშვენივრად იცის, რომ ყივჩაღების განადგურება რუსეთისათვის აუცილებელია, მაგრამ ხედავს, რომ ამისათვის საჭირო თანხმობა და ერთსულოვნობა რუსეთის მთავრებს შორის არ არის, და ის მწუხარებით და მამობრივი ტონით ჰკიცხავს რუსეთის მთავრებს. სვიატოსლავი მიმართავს თავის ოცნებაში ამ მთავრებს და მოუწოდებს მათ დაანებონ თავი შინაგან უთანხმოებას და გაერთიანდნენ, რათა ყივჩაღებზე იძიონ შური იგორის დამარცხებისათვის. პოეტი ეძახის სვიატოსლავის ნათქვამს „ოქროს სიტყვას“ და ამით თითქოს იმის ნიშანს გვაძლევს, რომ თვითონ იზიარებდა სწორედ იმ პატრიოტულ აზრებს, რომლებსაც იგი სვიატოსლავს გამოათქმევინებს. ბოლოს, საჭიროა რამდენიმე სიტყვა ითქვას იგორის მეუღლის, იაროსლავის ასულის, შესახებ. იგი წარმოდგენილია პოემაში, როგორც ქალის ნაზი და ღრმა გრძნობის განსახიერება. ულეველია მისი სიყვარული იგორისადმი და უსაზღვრო კაეშანი მოისმის მის „გოდებაში“, რომელიც მთელი პოემის უძვირფასეს მარგალიტს წარმოადგენს. იაროსლავის ასული მუდარებით მიმართავს მზეს, ქარს, დნეპრს და ყველას ევედრება მფარველობა გაუწიონ მის საყვარელ და მრავალტანჯულ მეუღლეს.

პოემის შესავალში ნახსენებია რუსეთის ძველი მგოსანი ბოიანი და მოცემულია რეფლექსია პოეტური შემოქმედების შესახებ. პოეტი მსჯელობს აქ იმ საკითხზე, თუ რომელი სტილით დაიწეროს პოემა: ძველებური, ამაღლებული და ფართო ფანტაზიაზე აგებული სტილით, რომლის დიდი ოსტატი ყოფილა თურმე ვინმე ბოიანი,—თუ უფრო თანამედროვე, ცხოვრებასთან და რეალურ სინამდვილესთან უფრო დაახლოვებული სტილით. როგორც ირკვევა პოემის ამ ადგილიდან, ძველს რუსეთში უნდა არსებულიყო რამდენიმე მიმართულება, რამდენიმე სკოლა პოეტური ოსტატობისა. მაშასადამე, თუ რამოდენიმე პოეტური სკოლა არსებობდა, არა ერთი პოეტური ქმნილებაც იქნებოდა დაწერილი. სამწუხაროდ, ყველა ამ ქმნილებებიდან გადარჩა მარტო „ამბავი იგორის ლაშქრობისა“, და ისიც—მხოლოდ XVIII საუკუნეში კარგად ცნობილ ბიბლიოფილის და სიძველეთა მოყვარულ ა. ი. მუსინ-პუშკინის მეოხებით, რომელმაც 1795 წელს შემთხვევით აღმოაჩინა ეს დიდი ნაწარმოები ძველ ხელნაწერთა შორის და გამოსცა იგი (მართალია, არა უნაკლოდ) 1800 წელს.

თავისი ფესვებით „ამბავი იგორის ლაშქრობისა“ გადის ხალხის ზეპირსიტყვაობაში და უხვად იყენებს ხალხური პოეზიის ხერხებს. მხატვრული გამოთქმების მარაგს პოეტი იღებს ხშირად როგორც რუსი ხალხის სამეურნეო ცხოვრებიდან, ისე სამხრეთი რუსეთის ბუნებიდან, და ამჟღავნებს მაღალი ღირსების პოეტურ ოსტატობას.

მაგრამ „იგორის“ ავტორი მხოლოდ პოეტი, მხოლოდ ოსტატი კი არ არის. უწინარეს ყოვლისა ის არის თავისი სამშობლოს მოქალაქე, და პოეტური ოსტატობაც გამოყენებული აქვს როგორც საშუალება დიდი პატრიოტული გრძნობის გამოსახატავად. ეს პატრიოტიზმი შეადგენს მთელი პოემის ღერძს, რომელზედაც აცმულია პოემის ნაწილები. ავტორი სწუხს, როდესაც ხედავს, თავისი საყვარელი რუსეთის დაქუცმაცებას. მაგრამ, მიუხედავად ამ დიდი მოქალაქობრივი სევდისა, ავტორი არ ეძლევა მაინც სასოწარკვეთილებას, რადგან ღრმად უყვარს თავისი ხალხი და არ შეუძლია ამიტომ არ სწამდეს მისი ბედნიერი მომავალი. პოემა თავდება ნათელი ლირიკული დაბოლოებით, რომელიც მთელი ამ პოეტური სიმფონიის მაჟორულ აკორდს წარმოადგენს.

საომარი მოქმედება ჩინეთში

ჩრდილოეთ ჩინეთში

ხანკოუ, 21 მაისი (საკდესი). 20 მაისს შანდუნის პროვინციის დასავლეთ ნაწილში ჩინელთა ჯარებმა აიღეს იუნჩენი (ძინინის დასავლეთით). ძიუიეს ჩინელთა ჯარები ინარჩუნებენ.

ხენანის პროვინციაში 20 მაისს მთელ დღეს ბრძოლა იყო კაოჩენის მიდამოებში (კაიფინის აღმოსავლეთით). დღის ბოლოს იაპონელთა ჯარებმა ვერ გაუძლეს ჩინელთა ახალ დამხმარე ძალების შეტევას და უკან დაიხიეს. შეუპოვარი ბრძოლის შედეგად სადგური ეძიგანი (კაოჩენის სამხრეთ-აღმოსავლეთით) ჩინელთა ჯარებმა აიღეს.

სენტრალ ნიუსის სააგენტო ჯეჯფუდან (ხენანის პროვინცია) იუწყება, რომ იაპონელთა ჯარები, რომელნიც ლანფინს უტევენ (კაიფინის აღმოსავლეთით), 20 მაისს დაამარცხეს, მათ ორი დღის განმავლობაში 1000 კაცი მოუკლეს. გარიჟრაჟზე ჩინელთა ჯარებმა დაიწყეს კონტრშეტევა. იაპონელებმა ბრძოლაში კვლავ დაჰკარგეს 600-ზე მეტი კაცი.

ლონდონი, 21 მაისი (საკდესი). გაზეთ „ტაიმსის" შანხელი კორესპონდენტი იუწყება, რომ ჩინელთა ჯარებმა, დაიხიეს რა სიუიჯოუდან დასავლეთისაკენ, კვლავ ინარჩუნებენ ლუნხაის რკინიგზას და შეუპოვარ წინააღმდეგობას უწევენ იაპონელთა იერიშებს. ლუნხაის რკინიგზის მთელ რიგ პუნქტებში ჩინელთა ჯარები კონტრიერიშზე გადავიდნენ.

ცენტრალურ ჩინეთში

ხანკოუ, 21 მაისი (საკდესი). ანხუეის პროვინციის ცენტრალურ ნაწილში ჩინელთა ჯარები კონტრშეტევაზე გადავიდნენ და იერიში მიაქვთ ლუჯოუზე, რომელიც დაკავებულია იაპონელების მიერ. დაშუშანის მთის რაიონი 2-ჯერ გადავიდა ხელიდან ხელში. ჩინელთა სამხედრო წრეები დიდ მნიშვნელობას აძლევენ აქ წარმოებულ ბრძოლებს. ლუჯოუს ჩრდილოეთ-აღმოსავლეთით პარტიზანებმა დაიკავეს ციუანძიაო და იერიში მიაქვთ უ-იზე. დაახლოებით 6 ათასი იაპონელთა ჯარისკაცი 30 ტანკით გაიგზავნა ჩრდილოეთით ხუაიუანისაკენ. დინიუანის რაიონში მოქმედებენ პარტიზანთა დიდი რაზმები—ქალაქი იუნჩენი წინანდებურად ჩინელთა ჯარებით არის გარშემორტყმული.

შანხაი, 22 მაისი (საკდესი). 21 მაისს 300 კაცისაგან შემდგარი პარტიზანთა რაზმი თავს დაესხა იაპონელთა ნაწილს 10 კილომეტრის მანძილზე შანხაის დასავლეთით. ამ უკანასკნელი დღეების განმავლობაში შანხაიში გარკვევით ისმის არტილერიის სროლის ხმა. პუტუნის რაიონში პარტიზანები გააფთრებულ ბრძოლას აწარმოებენ. მდინარე იანძის ჩრდილოეთ ნაპირზე პარტიზანები გარშემოერტყნენ ტუნჯოუსა და ჟუგაოს. ამ რაიონში გაიგზავნა ახალი დამხმარე ძალები, რის შემდეგაც იაპონელთა ჯარებმა მოახერხეს ისევ დაეკავებინათ ხაიმინი. ხანჯოუს ჩრდილო-დასავლეთით, იოკანშანის მახლობლად გრძელდება შეუპოვარი ბრძოლები.

ნანკინის დასავლეთით პარტიზანებმა იაპონელებს წაართვეს ციუანძიაო და მიიწევენ წინ პუკოუსკენ. იმავდროულად პარტიზანთა მეორე რაზმს იერიში მიაქვს დინიუანზე.

შანხაის ჩინელი მოსახლეობის მიმართვა ჩან კაი-შისადმი

შანხაი, 22 მაისი (საკდესი). გაზეთი „იბაო" აქვეყნებს შანხაის ჩინელთა სამმილიონიანი მოსახლეობის მიმართვას ჩან კაი-შისადმი იმასთან დაკავშირებით, რომ ჩინელთა ჯარებმა დასტოვეს სიუიჯოუ. აღნიშნავს რა ჩინელი ჯარების გმირულ წინააღმდეგობას, რამაც ჩაშალა იაპონელთა გეგმის საჩქაროდ დამთავრებისა ჩინეთში, მოსახლეობა აცხადებს, რომ იგი ბოლომდე მხარს დაუჭერს მთავრობას იაპონიის წინააღმდეგ ბრძოლაში და არ დაჰკარგავს სიმხნევეს დროებითი დამარცხების დროს. მოსახლეობა გამოსთქვამს რწმენას, რომ ჩან კაი-ში მომავალშიც ყოველგვარ პირობებში წაიყვანს ნაციას საბოლოო გამარჯვებამდე ჩინეთის დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში.

ჩინელი პარტიზანების წარმატებითი მოქმედება

შანხაი, 21 მაისი (საკდესი). შანდუნის პროვინციაში ჩინელი პარტიზანები წარმატებითს ოპერაციებს აწარმოებენ იაპონელების წინააღმდეგ. გაზეთ „დამეივანბაოს" ცნობით, ორი უკანასკნელი თვის განმავლობაში პარტიზანებმა უკან დაიბრუნეს იმ ქალაქების უმრავლესობა, რომლებიც წინად იაპონელებს ჰქონდათ დაკავებული. შანდუნის პროვინციის აღმოსავლეთ ნაწილში 10-ზე მეტი სამაზრო ქალაქი ჩინელი პარტიზანების ხელშია. პარტიზანების რაოდენობა ამ რაიონში 40 ათას აღემატება.

პარტიზანები მუდმივად თავს ესხმიან ვეიხაივეისა და ჩიფუს, რომლებიც იაპონელთა ხელშია. ამას წინათ ჩიფუს ქუჩებზე სწარმოებდა ბრძოლები პარტიზანებსა და იაპონელთა გარნიზონს შორის. ამ ბრძოლების შემდეგ იაპონელებმა გააძლიერეს თავისი გარნიზონები ამ ქალაქებში.

ამერიკის წარმოების საავიაციო ყუმბარები გერმანიისათვის

ნიუ-იორკი, 22 მაისი (საკდესი). გაზეთი „ნიუ-იორკ ტაიმსი" იუწყება, რომ ფილადელფიიდან გერმანიისაკენ წავიდა გერმანიის სავაჭრო გემი „ფრანკენვალდი". ფილადელფიაში იგი დატვირთეს 20 ათასი საავიაციო ყუმბარით, რომლებიც გაკეთებულია ამერიკაში.

ეს უკვე მეოთხე გემია, სწერს გაზეთი, დატვირთული ამერიკული ყუმბარებით, რომლებიც დანიშნულია გერმანიისათვის. ამ წლის იანვარში ა. შ. შტატებიდან სწორედ ასეთივე ტვირთით გაემგზავრნენ გერმანიას გემები „გრეფელდი", „კლერვალდი" და „ბოხუმი".

საგაზაფხულო ხვნა-თესვა კოლმეურნეობებში

მიწსახკომის 20 მაისის ცნობებით

რაიონები	საგაზაფხულოდ მოხნულია ჰექტ.	ხვნის გეგმის შესრულება პროც.	საგაზაფხულო კულტურების თესვა ჰექტ.	საგაზაფხულო კულტურების თესვის გეგმის შესრულება პროც.	მათ შორის მარცვლოვანი და ცერცვოვანი კულტურების თესვა ჰექტ.	მარცვლოვანი და ცერცვოვანი კულტურების თესვის გეგმის შესრულება პროც.
ახალქალაქი	9283	68,2	24085	76,8	20258	90,8
ბოგდანოვკა	3300	39	9631	66,1	9249	80,4
ახალციხე	1973	91,8	6084	95,6	4128	95,8
ადიგენი	1117	168,5	2019	141,7	1759	155,7
ასპინძა	2397	125,6	4378	125,3	3742	137,1
ხაშური	8850	111	19219	90,8	14851	91,1
გორი	5884	91,5	12481	87,9	10295	97.5
კასპი	4410	95,5	8094	96,4	6068	101,6
ბორჯომი	3112	100,4	3058	75,7	2639	77,6
გურჯაანი	3133	101,5	7997	98,7	4517	98,6
სიღნაღი	5380	112,3	19240	102,1	8866	104,1
თელავი	5358	101,7	8061	97,7	7296	100,5
ყვარელი	1598	123,9	3193	92,6	2115	98,1
ლაგოდეხი	1563	102,6	6377	91,4	2600	100
თბილისი	6415	95,1	9959	92,2	7291	99,1
ყარაია	2028	101,3	3448	98,7	783	105,8
ბორჩალო	1982	101,2	4152	86,4	687	130,4
ლუქსემბურგი	1194	112,4	4193	101,5	3031	104,5
წალკა	4420	50,9	11554	70,1	10496	80,9
დუშეთი	3371	88,2	3988	75,3	3648	80
ალბულაღი	4232	101,2	7880	94,8	5871	103,2
საგარეჯო	4890	92,9	11164	92,8	7979	98,7
ბაშკიჩეთი	3065	93,4	4389	89,9	3248	94,3
თიანეთი	2294	94,1	3093	63,8	2975	68,1
ყაზბეგი	23	46	19	38	—	—
სამხ.-ოსეთის ა. ო.	9533	81,5	15938	83,1	15304	91,5
ქუთაისი	10087	99	19841	98,4	17188	99,6
სამტრედია	6845	87	8386	88	7895	88,5
წულუკიძე	1948	97,1	6677	98,2	6158	100,8
ვანი	1668	102,5	6201	97,7	5119	100,4
ბაღდათი	3942	97,8	4268	86,3	4233	90,8
ზესტაფონი	7220	116,8	7075	93,3	7057	95,8
ჩხარი	3233	95,2	7583	97,4	7381	98,8
ჭიათურა	16554	118,2	18253	87,6	18075	88,6
ორჯონიკიძე	8316	91,2	7529	82,6	7477	85,2
ტყიბული	1613	94,8	5131	94,8	5017	97
ონი	3344	94,7	3344	71,3	3265	76,7
ამბროლაური	6016	01	6556	93,2	6453	94,1
ცაგერი	5098	128,4	5406	126,6	5370	127,3
ქვემო სვანეთი	66	153,5	66	153,5	64	160
აბაშა	10831	92,4	9271	68	8257	70,6
ცხაკაია	6478	75,3	7130	68,1	6401	69,1
გეგეჭკორი	6927	103	9112	93,4	8945	96,4
ზუგდიდი	5453	93,3	7436	84,1	6668	86,9
ხობი	5854	101,6	5298	78,1	5220	79,3
წალენჯიხა	1341	100	2047	90,6	2027	97,5
ჩხოროწყუ	3805	93,1	3967	92,1	3900	100,5
მახარაძე	4801	94	4730	88,1	4678	72,5
ლანჩხუთი	5990	80,4	5928	72,4	5885	113,3
ჩოხატაური	1464	34,4	3093	69,1	3011	77,2
ფოთი	307	95,9	343	107,2	261	93,2
აფხაზეთის ასსრ	35497	96,7	29462	66,8	25634	76
აჭარის ასსრ	4952	97,9	4378	81,7	3595	93,9
სულ	270405	91,9	412095	85,1	344870	90,2

უკმაყოფილება გერმანიის სამხედრო-საჰაერო ფლოტის პირად შემადგენლობაში

პრაღა, 22 მაისი (საკდესი). გაზეთ „დოიჩე ფოლკსვილე" იუწყება, რომ გერმანიის სამხედრო-საჰაერო ფლოტის პირად შემადგენლობაში ძლიერდება უკმაყოფილება. ამ დღეებში აეროდრომზე კეტენის მახლობლად საჰაერო ფლოტის რიგითი შემადგენლობისადმი მეთაურების ბარბაროსული მოპყრობის წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად თავი მოიკლა ერთი ესკადრილიის პილოტმა. მეორე მფრინავმა სცადა საზღვარგარეთ გაქცევა და გაფრინდა თავისი თვითმფრინავით, მას გამოუდგა სამი თვითმფრინავი და იგი საზღვრიდან რამდენიმე კილომეტრის დაშორებით მოტორის გაფუჭების გამო იძულებული გახდა დაშვებულიყო. დაშვებისას აფეთქდა ბენზინიანი ავზი. თვითმფრინავი დაიწვა, მფრინავი დაიღუპა.

პარლამენტის კომუნისტური ჯგუფი მოითხოვს „კაგულარების" დაპატიმრებას

პარიზი, 21 მაისი (საკდესი). დეპუტატთა პალატის თავმჯდომარის მოადგილემ ჟაკ დიუკლომ მემარცხენე ჯგუფთა საპარლამენტო დელეგაციის გენერალურ მდივანს გაუგზავნა წერილი, სადაც დაჟინებით მოითხოვს ამ დელეგაციის სხდომის მოწვევას. დიუკლო აღნიშნავს, რომ პარლამენტის კომუნისტურ ჯგუფს განზრახული აქვს წამოაყენოს მოთხოვნა, რათა მიღებულ იქნას ზომები ფაშისტური ორგანიზაციების დასაშლელად, რომელთაც ხელახლა გააჩაღეს თავიანთი მოქმედება. პარლამენტის კომუნისტური ჯგუფი მოითხოვს „კაგულარების" დაპატიმრებას, რომელნიც აღვივებენ სამოქალაქო ომს, და, პირველ რიგში, ფაშისტური ორგანიზაციების ხელმძღვანელების დორიოს და დე ლა როკის დაპატიმრებას.

ჯამბულის საღამო მწერალთა კავშირში

25 მაისს, საღამოს 8 საათზე, მწერალთა სასახლეში შესდგება საღამო, მიძღვნილი კაზახეთის სახალხო პოეტის ჯამბულის ლიტერატურული მოღვაწეობის 75 წლისთავისადმი. მოხსენებას ჯამბულის შემოქმედებაზე გააკეთებს გ. გაფრინდაშვილი.

სიტყვებით გამოვლენ ბ. აბაშელი, ი. აბაშიძე, ვ. გორგაძე.

ჯამბულის ლექსების თარგმანებს წაიკითხავენ პოეტები: ა. მაშაშვილი, გ. გაფრინდაშვილი, ა. აბაშელი, ი. აბაშიძე, მ. პატარიძე, დ. გაჩეჩილაძე, ს. ფაშალიშვილი, პ. სამსონიძე, ვ. გორგაძე.

თბილისი. ახალ სანაპირო ქუჩაზე კარლ მარქსის ხიდთან

ფოტო: ბუდეშტსკისა („სოიუზფოტო").

თათბირი მეაბრეშუმეობის საკითხზე

20-21 მაისს თბილისში ჩატარდა „რაიაბრეშუმის" გამგეთა და უფროს აგრონომთა რესპუბლიკური თათბირი, რომელსაც ესწრებოდნენ აგრეთვე „საქაბრეშუმტრესტის", მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატის, მიწსახკომის და თბილისის მეაბრეშუმეობის საცდელი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მუშაკები.

თათბირმა განიხილა აბრეშუმის პარკის კონტრაქტაციის, ჭიის კვების და პარკის მიღებისათვის მზადების მიმდინარეობის საკითხები. მიღწევებთან ერთად, თათბირზე აღინიშნა ის სერიოზული ნაკლოვანებანიც, რომლებიც ხელს უშლიან აბრეშუმის მოსავლიანობის გადიდებისა და პარკის ხარისხის შემდგომი გაუმჯობესების საქმეს.

შარშან საქართველოში დამზადდა სულ 3.500 ტონა აბრეშუმის პარკი, 2256 ტონით მეტი, ვიდრე 1932 წელს. საშუალო მოსავალი თვითეულ კოლოფზე 1932 წელს არსებულ 13 კილოგრამის ნაცვლად შარშან მიღებულ იქნა 41 კილოგრამი.

წელს საქართველოში უნდა დამზადდეს 3.693 ტონა აბრეშუმის პარკი და კოლოფზე მიღებულ იქნას საშუალოდ 43 კილოგრამი მოსავალი. საქართველოს მეაბრეშუმეები წინანდელთან შედარებით წელს უკეთესად მოემზადნენ პარკის უხვი მოსავლის მისაღებად. მაგრამ, როგორც თათბირზე გამოირკვა, წინანდელი შეცდომები და ნაკლოვანებანი, კერძოდ კონტრაქტაციის, აბრეშუმის ჭიის კვებისა და პარკის მიღებისათვის მზადებაში, მთლიანად ჯერ კიდევ არ არის აღმოფხვრილი.

დღის წესრიგში დასმული საკითხების გარშემო თავიანთი მუშაობის შესახებ თათბირზე სიტყვებით გამოვიდნენ ამხანაგები: კ. ფაჩულია (ცხაკაია), თ. ალხაზიშვილი (ქუთაისი), კ. თევდორაძე, ხუხუნაიშვილი (სამტრედია), ვ. ჩარექოვი, ანდრონიკაშვილი (თელავი), კალანდაძე, ვ. დარსაველიძე (მახარაძე), კ. მღებროვი (ლაგოდეხი), გ. სარია (ზუგდიდი), კ. გვალავა (ზუგდიდი), თ. მიქაია (გალი), ი. ჯანელიძე, გერმალოზაშვილი („საქაბრეშუმტრესტი"), კ. აფხაზავა (გურჯაანი), შჩენკოვი, ოგანეზოვი (ყვარელი), ქუთათელიძე (მიწსახკომი) და სხვები.

როგორც ამხანაგების სიტყვებიდან გამოირკვა, მეაბრეშუმეობის საქმეს ძალიან სუსტად ხელმძღვანელობენ რაიმიწგანები, ზოგან (ლანჩხუთი, მახარაძე, ცხაკაია) არაწესიერად მიმდინარეობს აბრეშუმის ჭიის გამოკვება, ადგილობრივი ორგანიზაციები არადამაკმაყოფილებლად მუშაობენ იმისათვის, რომ ფართოდ გაავრცელონ ჭიის კვების კავალონის სისტემა, რომელიც იძლევა თუთის ფოთლის ხარჯვისა და მუშახელის დიდ ეკონომიას, მოითხოვს შედარებით ნაკლები მოცულობის ბინას, ხელს უწყობს სისუფთავის დაცვას და ამცირებს ჭიის მოსალოდნელ დაავადებას.

გამოირკვა ისიც, რომ ადგილებზე ნაკლებ დახმარებას უწევენ სტახანოველ მეაბრეშუმეებს, არ ამარაგებენ მათ თერმომეტრებით, საფენი ქაღალდებით. ნაკლებად ახდენენ მათი გამოცდილების მეცნიერულ შესწავლას და ფართოდ გავრცელებას, აგვიანებენ სტახანოველებისათვის ჯილდოების მიცემას. რაიონული გაზეთები (მახარაძე, ქუთაისი, ცხაკაია) სუსტად აშუქებენ მეაბრეშუმეობის საკითხებს.

აბრეშუმის ჭია ახლა უმთავრესად მესამე, მეოთხე და მეხუთე ასაკში იმყოფება. ზოგან აბრეშუმის ჭიამ ახვევაც კი დაიწყო. მაისის უკანასკნელ რიცხვებში მოსალოდნელია აბრეშუმის პარკის შემოსვლაც, მაგრამ, როგორც თათბირზე გამოირკვა, ზოგიერთი რაიონი ჯერაც არ არის მზად პარკის მისაღებად. საფარების უქონლობის გამო გაჩერებულია ავტომანქანები, დაუმთავრებელია ახალი ფარდულების მშენებლობა და ძველი ფარდულების რემონტი, წესრიგში არ არის მოყვანილი მექანიკური სახმობი ღუმელები და მიმღები პუნქტები.

თათბირზე მოკლე და შინაარსიანი სიტყვით გამოვიდა საქართველოს მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისრის მოადგილე ამხ. აკ. ეღენტი.

თათბირის შედეგები შეაჯამა „საქაბრეშუმტრესტის" მმართველმა ამხ. ა. რამიშვილმა, რომელმაც დამსწრეთა ყურადღება გაამახვილა მავნებლობის შედეგების სწრაფი ლიკვიდაციის, მეთუთეობის განვითარების, სტახანოვური მოძრაობისა და სოცშეჯიბრების ფართოდ გაშლის, ჭიის კვების უკეთესად მოწყობის და პარკის მიღებისათვის მზადყოფნის საკითხებზე. თათბირმა მიიღო კონკრეტული ღონისძიებანი წულუკიძის რაიონის მეაბრეშუმე სტახანოველთა მიერ ამხანაგ ლ. ბერიასადმი გაგზავნილ წერილზე საქმიანი გამოხმაურების მოწყობისა და არსებულ ნაკლოვანებათა დაჩქარებით გამოსწორებისათვის.

თათბირმა მისალმება გაუგზავნა ამხანაგ ლავრენტი ბერიას.

ფეხბურთი

მესამე ყაიმი

22 მაისს ლ. ბერიას სახელობის „დინამოს" სტადიონზე გაიმართა მორიგი მატჩი საბჭოთა კავშირის პირველობაზე. თამაშობდნენ თბილისის „ლოკომოტივი" და მოსკოვის „კრილია სოვეტოვ".

„ლოკომოტივმა" ჩვეულებისამებრ სწრაფი ტემპით დაიწყო თამაში და მალე მდგომარეობის ბატონ-პატრონი შეიქნა მინდორზე. თბილისის მეკარე შუდრა დიდხანს არ ჩაბმულა თამაშში, სამაგიეროდ დიდი შრომა დააწვა მოსკოველების მეკარე ნაზარეტოვს. მის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მან ამ დღეს ბრწყინვალე თამაში გვიჩვენა. მისი ვეფხისებური ნახტომები და ბურთის მოხდენილად დაჭერა მაყურებელთა ერთსულოვან ტაშს იწვევდა. თუ მოსკოველები ამ დღეს გადარჩნენ დამარცხებას, ეს ნაზარეტოვის გაბედული თამაშის შედეგია.

შუა ტაიმში ინიციატივა ხელთ იგდეს მოსკოვის გუნდის ფეხბურთელებმა. ტაიმის ბოლომდე მათ ორი ბურთი გაიტანეს, თავის ბადეში კი არ მიუღიათ არცერთი.

მეორე ტაიმი კვლავ მათი იერიშებით დაიწყო. ლამაზი კომბინაციის შედეგად მათ კიდევ ერთი ბურთით გაადიდეს ანგარიში და, თითქოს, უზრუნველჰყვეს თავისი გამარჯვება.

მაგრამ ლოკომოტიველები არ დაიბნენ. ისინი მაგრად დააწვნენ „მოწინააღმდეგის" კარს და ხანგრძლივი ბრძოლის შემდეგ შესძლეს პირველი ბურთის გატანა (ჩერედნიჩენკო). მალე ნინუამ მეორედ გაარღვია მოსკოვის კარი, ხოლო თამაშის უკანასკნელ წუთებში ჩიტაიამ კარგად ისარგებლა 11-მეტრიანი საჯარიმო დარტყმით და გაათანაბრა ანგარიში.

○

დღეს, 24 მაისს, საკავშირო პირველობის გათამაშების მესამე კალენდარული დღეა. თბილისში თამაშობენ „დინამო" და ლენინგრადის „ელექტრიკი" (ყოფ. „კრასნაია ზარია"). „ელექტრიკი" საკმაოდ ძლიერი გუნდია.

კონსერვატორიის საოპერო კლასის საჩვენებელი წარმოდგენა

სახელმწიფო კონსერვატორიის საოპერო კლასმა რეჟისორ აკაკი ფალავას ხელმძღვანელობით დაამუშავა მონტაჟი რჩეული ადგილებისა ოპერებიდან: „დაისი", „ბოჰემა", „ვერტერი", „ოტელო", „ალი". „ტრუბადური" და „ევგენი ონეგინი". ეს ნაწყვეტები კონსერვატორიის ძალებით — ვოკალისტი და ინსტრუმენტალისტი სტუდენტების შესრულებით წარმოდგენილი იქნება პირველად 25 მაისს სომხური აკად. დრამის თეატრში. დირიჟორობს საოპ. კლასის სამუსიკო ნაწილის ხელმძღვანელი კომპ. შ. თაქთაქიშვილი.

ახალი ამბები

● საქ. საბჭოთა მხატვრების კავშირში (რუსთავ. პრ. 13) ფერწერის პროფესორი ორდენოსანი მოსე თოიძე 24 მაისს, საღამოს 8 საათზე, წაიკითხავს მოხსენებას თემაზე: „საქართველოს მხატვრების შემოქმედება".

სასამართლო

სამტრედიაში მომხდარი ავარიის დამნაშავეთა გასამართლება

სამტრედია 22 მაისი (საქ. კორ.). პროცესის მეორე სხდომა, 22 მაისს საღამოს, დაიწყო ბრალდებული მეისრის მელნიკის დაკითხვით. იგი თავმჯდომარისა და პროკურორ ამხ. პოდოლსკის შეკითხვებს გვერდს უხვევს, მაგრამ საბოლოოდ აღიარებს, რომ მისი ოჯახი უკრაინაში იყო კულაკური, ეწეოდნენ ანტისაბჭოთა მუშაობას, რაც გამოიხატებოდა 1930 წელს კოლმეურნეობის წინააღმდეგ მოწყობილ აჯანყებაში, რისთვისაც მელნიკის და დებსაც გადასახლებაშია, ხოლო მელნიკი სამტრედიის კვანძზე აფარებდა თავს.

მელნიკი აღიარებს აგრეთვე საექსპლოატაციო წესების მე-388 მუხლის დარღვევას, რაც გამოიხატა იმაში, რომ უმცროსი მეისრის მიერ ჩატარებული ოპერაცია მან არ შეამოწმა, არ ჩამოართვა № 5 ისრის გასაღები.

შემდეგ სასამართლო გადავიდა უმცროსი მეისრის დავითაძის დაკითხვაზე. ბრალდებულს არ სურს აღიაროს სიმართლე. იგი აცხადებს, რომ მელნიკისაგან სიტყვიერად და ტელეფონით მიიღო დავალება მოემზადებინა ისრები მატარებლის მისაღებად, მაგრამ ვერ გაიგო რომელი მატარებლის მისაღებად, თუმცა იცოდა, რომ ისრები დააყენა ისე, რომ მატარებელი შევიდოდა მერვე ლიანდაგში, რომელიც დაკავებული იყო.

მელნიკი ამბობს, რომ უმცროსმა მეისრემ დავითაძემ ძალიან კარგად გაიგო, რომ შემოდის მატარებელი № 41, მაგრამ მალავს სიმართლეს.

დავითაძის დაკითხვა 1 საათს გაგრძელდა. იწყება მემანქანე ორაგველიძის დაკითხვა. ორაგველიძე აცხადებს, რომ იგი შემოვიდა სადგურ სამტრედიაში მისი აზრით 35 კილომეტრის სისწრაფით. დაჯახებამდე არავითარი სიგნალი გაჩერებისა არ დაუნახავს. სიჩქარის მაჩვენებელი ლენტა მართალია ამოიღო, მაგრამ სიბნელეში ვერ გაარჩია და დახია.

ამით დამთავრდა მეორე სხდომა.

სიმფონიური კონცერტი

24 მაისს სახელმწიფო კონსერვატორიის დარბაზში გაიმართება კომიტასის სახელობის დამსახურებული კვარტეტის (სომხეთი) კონცერტი. პროგრამაშია ჩაიკოვსკი, ბოროდინი, კომიტასი.

25 მაისს სახელმწიფო ოპერის თეატრში გაიმართება სიმფონიური კონცერტი დირიჟორ ნ. რაბინოვიჩის ხელმძღვანელობით და მომღერალ ტ. შარატა-დოლიძის მონაწილეობით.

პარტკალენდარი

ლ. კეცხოველის სახელობის პროპაგანდისტისა და აგიტატორის სახლში.

25 მაისს:

აგიტაციის კაბინეტი — კონსულტაცია თემაზე: ჩეხოსლოვაკიის პოლიტიკურ-ეკონომიური მიმოხილვა. ქართულ ენაზე. კონსულტანტი ამხ. ქორიძე. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

○

25 მაისს, საღამოს 7 საათზე, საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ორჯონიკიძის რაიკომის პარტკაბინეტში შესდგება პროპსემინარის მორიგი მეცადინეობა. ყველა პროპაგანდისტის დასწრება სავალდებულოა.

○

25 მაისს, საღამოს 7 საათზე, საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის კიროვის რაიკომის პარტკაბინეტში საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების დებულების შემსწავლელი წრეების ხელმძღვანელ აგიტატორებისათვის ქართულ და რუსულ ენებზე შესდგება ჯგუფური კონსულტაცია. თემაზე: საქართველოს სსრ — ერთი პირველთაგანი თერთმეტ თანასწორ მოკავშირე საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკათა შორის.

პასუხისმგებელი რედაქტორი
გ. ხატიაშვილი

თბილისის ზ. პ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრი

24 მაისს
ა. ძერჟინსკი
პრემიერა
წყნარი დონი
ოპერა 4 მოქმ. 6 სურათ. ლიბრეტო ლ. ძერჟინსკის.
დადგმა რეჟ.—ა. რიდალისა, დირიჟორი—შ. აზმაიფარაშვილი, მხატვარი—ვ. ივანოვი, ბალეტმეისტერი—ვ. ლიტვინენკო.
დასაწყისი 8½ საათზე. ბილეთები იყიდება. 60

თბილისის ზ. პ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრი

24/V	მუდმ. ადგ. ტალ. № 199 პრემიერა წყნარი დონი
25/V	მუდმ. ადგ ტალ. № 200 სიმფონიური კონცერტი დირიჟორი ნ. რაბინოვიჩი დასაწყისი 9 საათზე.
26/V	მუდმ ადგ. ტალ № 197 ერთდრ. ბილ. სერია № 5 სევილიელი დალაქი

დასაწყისი 8 ს. 30 წ.

დღეს სახკინმრეწვის თეატრებში

ოქტომბერი პლეხანოვის პროსპ., 135	ახალი ხმოვანი კომედია ვოლგა-ვოლგა დასაწყ. 6-30
კომკავშირელი პლეხანოვის პროსპ., 91	
დამკვრელი პლეხანოვის პროსპ., 125	ახალი ხმოვ. ფილმები: 1) პედრო, 2) უცხოელი ქალი დასაწყ. 6-30
სპარტაკი რუსთაველის პროსპ., 23	ხმოვ. ფილმი კაპანინელები დადგმის უკანასკნელი დღე. დასაწყ. 6-30
რ. ლუქსემბურგის სახ. ჯორჯიაშვილის, 8	ხმოვანი ფილმი დაკარგული სამოთხე დასაწყ. 6-30
26 კომ. სახელობის შაუმიანის მოედანი	ხმოვანი კომედია ვოლგა-ვოლგა დასაწყ. 6-30
არსენა კომუნალური ქ., № 9	ხმოვანი ფილმი პაპანინელები დასაწყ. 6-30
კომინტერნი ბრძოლის ქ. № 222	ხმოვანი ფილმი საზღვარს კლიტე ადევს დასაწყ. 8-30
ახალი ამბები პლეხანოვის პროსპ., 125	ხმოვანი კინო-ნარკვევი 1 მაისი მოსკოვში

რუსთაველის სახ. ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრი 1938 წ. სეზონი

24/V	წარმოდგენა 178 სამშობლო
26/V	წარმოდგენა 179 სამშობლო
27/V	წარმოდგენა 180 სამშობლო

დასაწყ. 8 საათზე.
სალარო ღიაა დღის 12 საათიდან საღამოს 9 საათამდე.

მარჯანიშვილის სახელობის თეატრი

24/V	ნაპერწკლიდან
26/V	ნაპერწკლიდან

ფეხსაცმლის ახალი ფაბრიკა, მისი ფაბრიკა-სამზარეულო და კაპიტალური მშენებლობა
აუწყებენ
ყველას, ვინც წინათ მუშაობდა და რაიმე მიზეზის გამო არ მიუღია მეორე ხუთწლედის სესხის (მეოთხე წლის გამოშვება) და სსრ კავშირის თავდაცვის განმტკიცების სესხის ობლიგაციები, აუცილებლად გამოცხადდნენ ფეხსაცმლის ახალი ფაბრიკის ბუხჰალტერიაში და მიიღონ ცნობა რაიონულ შემნახველ სალაროში № 3524 წარსადგენად და ობლიგაციების მისაღებად.
სესხის მქონენი, რომელთაც ობლიგაციები ხელზე არა აქვთ, მოგებათა ტირაჟებში არ მონაწილეობენ.
სახელმწიფო სესხების ობლიგაციების მქონენი, რომელნიც არ მიიღებენ ობლიგაციებს 1938 წლის 1 ივნისამდე, ჰკარგავენ მეორე ხუთწლედის სესხის (მეოთხე წლის გამოშვება) ობლიგაციების მიღების უფლებას 1938 წლის 1 ივნისს და სსრ კავშირის თავდაცვის განმტკიცების სესხის ობლიგაციების მიღების უფლებას 1939 წლის 1 ივნისს. 105

წყალკანალტრესტი კიროვის ქ. № 16
აუწყებს
ყველას, ვინც წინათ მუშაობდა და რაიმე მიზეზის გამო არ მიუღია მეორე ხუთწლედის სესხის (მეოთხე წლის გამოშვება) და სსრ კავშირის თავდაცვის განმტკიცების სესხის ობლიგაციები, რომ აუცილებელია გამოცხადდნენ წყალკანალტრესტის ბუხჰალტერიაში და მიიღონ ცნობა რაიონულ შემნახველ სალაროში № 3528 წარსადგენად და ობლიგაციების მისაღებად.
სესხის მქონენი, რომელთაც ობლიგაციები ხელზე არა აქვთ, მოგებათა ტირაჟებში არ მონაწილეობენ.
სახელმწიფო სესხების ობლიგაციების მქონენი, რომელნიც არ მიიღებენ ობლიგაციებს 1938 წლის 1 ივნისამდე, ჰკარგავენ მეორე ხუთწლედის სესხის (მეოთხე წლის გამოშვება) ობლიგაციების მიღების უფლებას 1938 წლის 1 ივნისს და სსრ კავშირის თავდაცვის განმტკიცების სესხის ობლიგაციების მიღების უფლებას 1939 წლის 1 ივნისს. 1609

საქფილეგთის საზაფხულო თეატრი და ბაღი
პლეხანოვის პროსპ. № 123, ტელ. 3-02-29, 3-18-50
საზაფხულო სეზონის გახსნა 1 ივნისს

საზაფხულო თეატრი
1 ივნისს—ესტრადის საღამო. მონაწილეობენ: ჯაზ-ორკესტრი, სახოპერის სოლისტები, რუსთაველის და მარჯანიშვილის სახ. თეატრების მსახიობები, საქფილეგთის მსახიობები.
2 ივნისს—ხალხური ცეკვისა და სიმღერის საღამო.
3 ივნისს—ძველი ვოდევილე'ის საღამო.
4 ივნისს—ესტრადის საღამო.
5 ივნისს—თანამედროვე ვოდევილების საღამო.
6—12 ივნისს—მოსკოვის ესტრადის საღამოები ფელეტონისტ ი. ნაბატოვის ხელმძღვანელობით.
15 ივნისს—სიმფონიური კონცერტი.
14—18 ივნისს—დონის ყაზახთა სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის საღამოები.
19 ივნისს—სიმფონიური კონცერტი სოლისტების მონაწილეობით.
20 ივნისს—ვოკალისტების კონკურსის მონაწილეთა საღამო.
21—22 ივნისს—უკრაინის სსრ პოლონური ანსამბლის საღამოები.
23—24 ივნისს—მოსკოვის ესტრადა—იზაბელა იურიევას საღამოები.
25 ივნისს—სიმფონიური კონცერტი სოლისტების მონაწილეობით.
26—27 ივნისს—სომხეთის სსრ სახ. ესტრადის საღამოები.
28—29—30 ივნისს—ლენინგრადის ესტრადის საღამოები მურავსკის ხელმძღვანელობით.
დაწვრილებით აფიშებში.

ღია ესტრადა
1, 2, 3, 4 ივნისს—კინო-სეანსები.
5—6 ივნისს—კონცერტი დასავლეთ საქართველოს გუნდისა კ. პაჭკორიას ხელმძღვანელობით.
8—9—10 ივნისს—კინო-სეანსები.
11—12 ივნისს—ესტრადის საღამოები.
13—14 ივნისს—კინო-სეანსები.
15—16 ივნისს—ესტრადის საღამოები ჯაზ-ორკესტრის მონაწილეობით.
17—18 ივნისს—კონცერტი გუნდისა შ. თარხნიშვილის ხელმძღვანელობით.
19 ივნისს—კონცერტი მეჩონგურეთა ანსამბლისა ა. ფოცხვერაშვილის ხელმძღვანელობით.
20—26 ივნისს—ლენინგრადის ესტრადის საღამოები ციპმანის ხელმძღვანელობით.
27—28 ივნისს—კინო-სეანსები.
29—30 ივნისს—კონცერტი აღმოსავლეთ საქართველოს გუნდისა დ. კავსაძის ხელმძღვანელობით.
ღია ესტრადის ყველა საღამოებზე შესვლა ბაღის შესასვლელი ბილეთებით.
დაწვრილებით აფიშებში.

22 მაისიდან დაიწყო მუდმივი ადგილების გაცემა; მუდმივი ადგილების მიღებისას პირველი შესატანის გადახდა სავალდებულოა. მუდმივი ადგილების შეძენის უკანასკნელი ვადაა 25 მაისი. 40

სომხური აკადემიური დრამის თეატრი
25 მაისს
სახელმწიფო კონსერვატორიის საოპერო კლასის საჩვენებელი წარმოდგენა რჩეული ადგილები ოპერებიდან:
„დაისი", „ბოჰემა", „ვერტერი", „ოტელო" „ტრუბადური", „ალი", „ევგენი ონეგინი".
რეჟისორი აკ. ფალავა. დირიჟორი შ. თაქთაქიშვილი.
დასაწყისი სრულ 8½ საათზე. 17855

ფეხსაცმლის ფაბრიკა № 2, ბამბის რიგი, № 2
აუწყებს
ყველას, ვინც წინათ მუშაობდა და რაიმე მიზეზის გამო არ მიუღია მეორე ხუთწლედის სესხის (მეოთხე წლის გამოშვება) და სსრ კავშირის თავდაცვის განმტკიცების სესხის ობლიგაციები, აუცილებლად გამოცხადდნენ ფაბრიკის ბუხჰალტერიაში და მიიღონ ცნობა რაიონულ შემნახველ სალაროში № 3528 წარსადგენად და ობლიგაციების მისაღებად.
სესხის მქონენი, რომელთაც ობლიგაციები ხელზე არა აქვთ, მოგებათა ტირაჟებში არ მონაწილეობენ.
სახელმწიფო სესხების ობლიგაციების მქონენი, რომელნიც არ მიიღებენ ობლიგაციებს 1938 წლის 1-ლ ივნისამდე, ჰკარგავენ მეორე ხუთწლედის სესხის (მეოთხე წლის გამოშვება) ობლიგაციების მიღების უფლებას 1938 წლის 1 ივნისს და სსრ კავშირის თავდაცვის განმტკიცების სესხის ობლიგაციების მიღების უფლებას 1939 წლის 1 ივნისს. 1605

მისამართი. რედაქციის — თბილისი, რუსთაველის პროსპ. № 16, გამომცემლობის — რუსთაველის პროსპექტი № 34; ტელეფონები: სამდივნოსი: 3—06—88, განყოფილებებისა: პარტიულის—3—57—61, სასოფლო-სამეურნეოს — 3—73—40. შრომელთა წერილების — 3—73—24; პ.-მგ. მორიგის—3—26—67, გამომცემლობის—3—51—81; სტამბის დირექტორის — 3—27—04, ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ამხ. ს. თოდრიას სახ. სტამბა „კომუნისტი", თბილისი, კამოს ქ. № 68.

მთავლიტის რწმუნებული ა—1442